საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

შაბათი, 7 აგვისტო 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი დღის თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ქალაქში 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 177 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 177

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესასვლელი რუსთაველის პროსპექტიდან № 18, ტელ. 11—79

8 აგვისტოს დილის [illegible]

ბახვა ფიფიას

[illegible] (2527 2—2)

[illegible]

ელენე კონსტანტინეს ასული გარსევანიშვილის

[illegible] (2566—3—2)

[illegible]

სვიმონ [illegible] ძე [illegible]

[illegible]

[illegible] (2575 1—1)

დიომიდე გრიგოლის ძე კალანდაძის

[illegible] (2575 1—1)

ამ დღეებში თფილისში გამოვა ყოველკვირეული, სამეცნიერო, სალიტერატურო და [illegible] გაზეთი

„სოფლის მუშა"

ორგანო საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გაზეთი გამოვა ორშაბათობით.

მასალები უნდა გამოეგზავნოს [illegible] „ერთობის" [illegible] ქუჩა 4, „სოფლის მუშის" სახელით.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ალ. ლომთათიძე, [illegible]

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 129).

შაბათს, 7 აგვისტოს

## საოჯახო საღამო-კონცერტი

მონაწილეობენ: [illegible]

[illegible]

კონცერტის დასწრება უფასოა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

(6. 1—1)

## თფილისის მაზრის ერობაში იმართება

## კონკურსი

[illegible]

## თფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

[illegible]

## მიღება უფლება

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

(2561—1—1)

## ქ. ხაშური.

### კვირას, 8 აგვისტოს

ხაშუადღევის 3 საათზე, მოწვეულია ს. ს. დ.-მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: განხილვა და დამტკიცება მთელი წლის კომიტეტის მოქმედების, არჩევა ახალი კომიტეტის, არჩევა სარევიზიო კომისიის და მიმდინარე საკითხები. კრებაზე დაუშვებენ მხოლოდ იმ ამხანაგებს, რომელთაც ხვედრი საწევრო გადასახადი აქვთ შეტანილი კომიტეტის სალაროში. წევრებმა საწევრო ბილეთები უნდა იქონიონ თან.

(უ. 2—2) ს. ს.-დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტი.

## საყურადღებოთ.

### დავით იაგორის ძე

# კალანდაძე

### აცხადებს

### რომ სავაჭრო სახლის

## ძმ. სეილანოვების

რექტიფიკაციის ქარხანა, კონიაკის, არყის და ლიკიორების გადმოვიდა მის ხელში საკუთრებად 1 აგვისტოდან და ახლო მომავალში ნაწარმოები გამოვა თავის საკუთრის ფირმით. ვაგზლის ქუჩა, № 5, სახლი სომხის სასულიერო სემინარიისა. (2513—6—4)

ნაძალადევის (ე. ბილანიშვილის სახელობის) ქალ-ვაჟთა

## მთავრობის გიმნაზია

აუწყებს საზოგადოებას, რომ მისაღები გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს თავისუფალი ადგილების, როგორც ვაჟთათვის ისე ქალთათვის არის

### 1. 4, 5, 6 კლასებში

კანცელარია ღია არის სამშაბათობით და პარასკეობით დილის 10—12 საათ. (2565—1—1)

# მდ. ტყვიბულზე

## გიდრო-ელექტრონული სადგურის საამშენებლო კომისიის სამმართველომ

დაიწყო წინასწარ გამოკვლევათა მუშაობა და უკანასკნელი პროექტების შედგენა. სამმართველო მოთავსებულია სასტუმრო „ინტერნაციონალში" ოთახი № 1, სოლოლაკის ქ. ტელ. 1—76, წარმოებით დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს ზემოხსენებულ მისამართით, მიღება ყოველ დღე დღის 12—2 საათ. მისამართი დეპეშებისათვის, თფილისი „პრავტყვიბულე".

(2564—1—1)

## — იყიდება —

# ელექტრონის სადგური

წისქვილით პ. კალატოზის და ე. კვირიკაშვილის ქალ. ზესტაფონში, ადგილზევე წარმოებით. მოლაპარაკება შეიძლება იქვე. (2550—3—1)

## სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია

ბათომის ოლქის საქართველოსთან გაერთიანება მოხდა არა რაიმე დაპყრობითი მიზნებით, არა ძალდატანებით, არამედ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის არა-ერთხელ გამოთქმულ სურვილის თანახმად. ის, რასაც საქართველო აკეთებს სამუსლიმანო საქართველოში, კეთდება მის მოსახლეობის მოთხოვნით. სამუსლიმანო საქართველოს, უპირველესად ყოვლისა, სჭირიან ის, რომ იგი გაიწმინდოს ყველა იმ ანარქიული ელიმენტებისაგან, ოსმალთა აგენტებისაგან, ყაჩაღურ - ჩეტნიკურ ბრბოებისაგან, კომუნისტურ-დენიკინელ აგენტებისაგან, რომლებითაც გაივსო მთელი მხარე იმ დროს, როდესაც იგი უპატრონოთ იყო მიტოვებული, და რომლებიც ჯერ კიდევ ამწარებენ მის მცხოვრებთ. ბათომის მხარე უნდა ჩადგეს ნორმალურ ცხოვრების კალაპოტში —სხვაფრივ საამშენებლო მუშაობა ვერ დაიწყება. ამ მიზნის მიხწევა კი შეუძლებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების დაუხმარებლად. სამუსლიმანო საქართველოში გაგზავნილია ჩვენი ჯარების საუკეთესო ნაწილები, რომლებიც ენერგიულად სწმენდენ ბათომის მხარეს ოსმალთა ჩეტებისაგან და ყაჩაღთა ბრბოებისაგან, ასეთია სურვილი მუსულმან ქართველთა საკანონმდებლო დაწესებულებისა—მეჯლისისა: მისმა წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობასთან ერთად შეიმუშავეს ამნაირი ფორმულა, სამუსლიმანო საქართველოს მართვა-გამგეობის შესახებ: „არსებულ პირობებში ოლქში შესაძლებელია მხოლოდ საგანგებო მართვა-გამგეობა, **შეფარდებული სამხედრო** წესებთან".

ბათომის მხარის გაწმენდა ისეთის სიჩქარით მიდის, ცხოვრება ისეთის ენერგიით დგება ნორმალურ კალაპოტში, რომ დღესვე უნდა ვიფიქროთ სამხედრო წესების გაუქმებაზე და სამუსლიმანო საქართველოში ჩვეულებრივი, სამოქალაქო წესების შემოღებაზე.

რანაირი უნდა იყოს ეს წესები? აქაც დიდი თავისტეხა არ დაგვჭირდება, რადგან ამ საკითხშიაც ჩვენ თვითონვე გვქონდა ხელმძღვანელი ძაფი—თვით **მუსულმან-ქართველთა ნება-სურვილი.** ეს სურვილი თავიდანვე იმაში მდგომარეობდა, რომ სამუსლიმანო საქართველო უნდა გაერთიანდეს საქართველოს რესპუბლიკასთან **ავტონომიური** მართვა-გამგეობის წესით. ავტონომიური ურთიერთობის შემოღებას—საქართველოს რესპუბლიკაც თავიდანვე მისაღებათ სთვლიდა. დღეს, როდესაც სამუსლიმანო საქართველოს შემოერთება უკვე რეალური ფაქტია, საქართველო, რა თქმა უნდა, გაანაღდებს იმ პირობებს, რომლებიც ქართველ მუსულმანებთან ჰქონდა მას დადებული ბათომის მხარის შემოერთებამდის. და ჩვენ ვხედავთ, რომ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წარმომადგენლებმა დღესაც ისეთივე პასუხი მიიღეს საქართველოს მთავრობისაგან, როგორსაც შეურყევლად ღებულობდენ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში: „მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შემდეგ სამოქალაქო მმართველობის მოხაწესრიგებლად დამფუძნებელ კრებაში წარდგენილ იქნება ახლო მომავალში **კანონ-პროექტი დემოკრატიული საარჩევნო უფლების ნიადაგზე აგებული ავტონომიური მმართველობის ცხოვრებაში გატარებისა**". ასეთია ის გეგმა, რომლის გატარებასაც „ახლო მომავლისათვის" ჰპირდება საქართველოს მთავრობა სამუსლიმანო საქართველოს. ამ დაპირებას დიდი ხანია ზურგი გამაგრებული აქვს თვით დამფუძნებელი კრების მხრით: საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტში აღიარებულია, რომ ავტონომიის საფუძველზე მოეწყობა მართვა-გამგეობა საქართველოს სამ პროვინციაში: აფხაზეთში, სამუსლიმანო საქართველოში და ზაქათალაში. (მუხლი 120) ამ ავტონომიის ფორმის ჩამოსაყალიბებლათ დიდი მუშაობა გასწია საკონსტიტუციო კომისიის მიერ დაარსებულმა მცირე კომისიამ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენელთან ერთად. ამ მცირე კომისიის ნამუშევარი ძლიერ გამოდგება სამუსლიმანო საქართველოს საკითხის გადაწყვეტის დროსაც. ისე რომ ავტონომიის პროექტის შესამუშავებლად უმთავრესი საქმე უკვე გაკეთებულია და როგორც კი საჭიროდ იქნება ცნობილი მისი შემოღება სამუსლიმანო საქართველოში, დიდი ხნის ლოდინი და თავის ტეხა ამას აღარ დასჭირდება.

## პოლემიკური წერილები

### V

### დეე შეიქნეს

„ახალი კომუნისტი" ცდილობს გააბათილოს „ერთობის" მოწინავე წერილი მესამე ინტერნაციონალის შესახებ. „ერთობა" სწერდა, რომ პირველ კონგრესზე მოწინავე ევროპა უფრო ნაკლებათ იყო წარმოდგენილი, ვიდრე ჩამორჩენილი აღმოსავლეთიო. „ახალ კომუნისტს" მოჰყავს თავბრუდამხვევი ციფრები. პირველი დახედვით მკითხველს ეგონება, რომ ბალშევიკური გაზეთის პირით ნამდვილი სიმართლე ღაღადებს.

გავარჩიოთ ეს ციფრები. მოწინავე ევროპას—გერმანიას, ნემეცურ ავსტრიას, ვენგრიას, შვეციას, ნორვეგიას, შვეიცარიას, საფრანგეთს, ამერიკას, ბალკანეთს „გამოუგზავნიათ" 10 დელეგატი. დანარჩენი გადამწყვეტი ხმები ყოფილან რუსეთიდან, პოლონეთიდან, ფინლიანდიიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ლიტვისა და ბელორუსიიდან, ესტონეთიდან, სომხეთიდან, რუსეთის ნემეცთა ახალშენებიდან და რუსეთის აღმოსავლეთის ხალხთა გაერთიანებული ჯგუფიდან—(18 დელეგატი).

„ერთობას" ყველა ამ 18 დელეგატის გამომგზავნი ქვეყნები არ მიუჩნევია მოწინავე ევროპათ. მეც ვფიქრობ, რომ ეს გაზეთი უფრო ახლოს დგას სიმართლესთან, ვიდრე „ახ. კომუნისტი". რუსეთი და მისი ყოფილი ნაწილები ჩვენ ყოველთვის ჩამორჩენილათ მიგვაჩნდენ მოწინავე ევროპასთან შედარებით. ნუთუ ამასაც სადაოთ გაგვიხდიან ადგილობრივი ბალშევიკები? მაშინ მათ წინაალმდეგ ისევ ბალშევიკებს დავიმოწმებთ.

ზემოდ მე ფრჩხილებში ჩავსვი სიტყვა **„გამოუგზავნიათო"**. ძალიან კარგს იზამს „ახ. კომუნისტი" თუ დაგვანახვებს, ვინ გამოგზავნა მოწინავე ევროპის ქვეყნებიდამ ათი წარმომადგენელი. მე პირადათ ვიცნობ ამერიკელ დელეგატს. ის იყო როსტოვიდან ერთ დროს ამერიკაში გადაბინავებული. იქიდან ჩამოვიდა ბალშევიკურ რევოლიუციამდის, გამოგზავნილი იყო სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასასწრებათ. ასე მოგვითხრობდა ყოველ შემთხვევაში თითონ. ხარკოვში ის ჩარიცხა მენშევიკების ორგანიზაციაში. ოქტომბერში 1917 წელს თავისი საქმეებისთვის წავიდა პეტროგრადში. ერთ მშვენიერ დღეს გაზეთებში წავიკითხეთ, რომ ის საბჭოთა ყრილობას მიესალმა ამერიკელი პროლეტარიატის სახელით. მერე ხარკოვში გვარწმუნებდა,—ეს მისალმება ჩემ ბალშევიკობას არ ნიშნავს, მე მივესალმე რუსეთის მუშათა კლასს ამერიკის მუშათა კლასის მხრივ და სხვა არაფერიო. გავიდა დრო, და ვნახეთ მესამე ინტერნაციონალისგან გამოშვებული მოწოდება, სხვათა შორის, მისი ხელმოწერით... ახლა იქნება, „ახ. კომუნისტმა" აგვიხსნას, რა უფლება ჰქონდა ამ „წარმომადგენელს" გამოსულიყო ამერიკის სოც. პარტიის სახელით, და რომელი პრინციპის მიხედვით სარგებლობდა ის 5 ხმით?

მქონდა ბედნიერება შევხვედროდით ხოლმე რაკოვსკისაც. პირველათ ის ვნახე პეტროგრადში 1917 წელს მაისში მენშევიკების თათბირზე. იქ მაშინ იბრძოდა ორი მთავარი ფრთა—მემარჯვენე (თავდაცვის მომხრეები) და მემარცხენე (ინტერნაციონალისტები). ის იდეურათ ემხრობოდა მემარჯვენე ჯგუფს, მონაწილეობას იღებდა მისი რეზოლიუციების შედგენაში. მას აქეთ სულ რუსეთში იყო და ჩვენთვის გაუგებარია, ვინ, როდის და როგორ გამოგზავნა ის ბალკანეთიდან მესამე ინტერნაციონალში წარმომადგენლათ. იქნება, „ახ. კომუნისტმა" არ დაიზაროს ამის ახსნაც.

რიც შეეხება საფრანგეთის წარმომადგენელს—გილბოს, მე მგონია, „ერთობის" მოწინავეს მხედველობაში ჰქონდა ერთი დოკუმენტი. რუსულ სოციალ-დემოკრატიულ გამოცემაში მოთავსებული იყო წერილი პეტროგრადიდან. ავტორი იწერებოდა, სხვათა შორის, რომ გილბო არასოდეს არც ერთ სოციალისტურ პარტიას არ ეკუთვნოდა აქამდისო. ეს წერილი დაიბეჭდა მალე მესამე ინტერნაციონალის პირველი ყრილობის შემდეგ, მოსკოვის ბალშევიკების ბურჯები კარგათ იცნობდენ ამ გამოცემას და ხშირათ უძღვნიდენ ხოლმე კრიტიკულ წერილებს. ფაქტი გილბოს შესახებ არ გაუმტყუნებიათ. იქნება „ახ. კომუნისტს" აქვს რამე უტყუარი საბუთი სულ მოწინააღმდეგე ფაქტის დასამტკიცებლათ, მაშინ „ერთობა", რა თქმა უნდა, იძულებული იქნება უკან წაიღოს თავისი შენიშვნა. მე კი ნებას მივსცემ ჩემ თავს შევეკითხო ბალშევიკურ გაზეთს,—თითონ იკისრა გილბომ საფრანგეთის რევოლიუციონური მუშათა კლასის წარმომადგენლობა, თუ ამ მუშათა კლასმა აირჩია ის? იმედია, „ახ. კომუნისტი" თავისებურათ არ შემომაგინებს, თუ ამისთანა კითხვას დავაყენებთ ყველა დანარჩენი ქვეყნების შესახებაც.

ახლა ორიოდე სიტყვით შევეხები ამ საკითხის პოლიტიკურ მხარეს. „ერთობის" მოწინავე სწერდა, რომ ლენინის შეურიგებელ პარტიას ცოცხალი კავშირი დაუჭერია ევროპის მუშათა მოძრაობასთანო, „ახ. კომუნისტი" გაიძახის, არაფერი არ დაუთმია ამ პარტიას, პირიქით ევროპის სოციალისტებმა დაუთმესო, და გვითითებს გერმანიის დამოუკიდებელ სოც. პარტიაზე. მართალია, ეს პარტია, ძალიან შორს წავიდა, მაგრამ მოსკოვის დიქტატურამდის მაინც არ მისულა, ის არ შეერთებია არც გერმანელ კომუნისტების ჯგუფს.

დიახ, რევოლიუციონური მარქსიზმის პლატფორმაზე გადადიან „სხვა და სხვა ქვეყნების სოციალისტური პარტიები, ჯგუფები და მუშათა კავშირები", და სწორეთ ამიტომ ისინი ძალიან შორს არიან იმ პოლიტიკური ხაზისგან, რორომელიც გატარებული იყო „მესამე ინტერნაციონალის" პირველი ყრილობის მოწოდებაში, მაგრამ მოვიცადოთ, როგორც რუსები იტყვიან, **поживемъ, увидимъ**. მივიღებთ ალბათ ამ დღეებში ამ მეორე ყრილობის ანგარიშებს. არ შემრცხვება საჯაროთ იმის თქმა, რომ მე ვცდებოდი, თუ დავინახე ჩემი შეცდომა. ჯერ კი მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ „ახ. კომუნისტში" მოყვანილ კომ. ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის უწყებიდან ამოღებულ სიტყვებს მეორე კონგრესის შესახებ:—„დეე, მომავალი 15 ივლ. მეორე კონგრესი კომუნისტური ინტერნაციონალის შეიქნეს ჭეშმარიტათ მუშათა კლასის მსოფლიო კონგრესი"...

დეე შეიქნეს...—ალბათ აქამდის არ შეკრებილა... და როცა ის მართლა **ჭეშმარიტათ მუშათა კლასის მსოფლიო კონგრესი** გახდება, მაშინ ჩვენ საქმე აღარ გვექნება ლენინის „ინტერნაციონალთან". მაშინ ისე შეიცვლება ფერი და შინაარსი ამ „ინტერნაციონალს", რომ ლენინი ვეღარ იცნობს თავის ნაწარმოებს. ის გადასახლდება მაშინ აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპაში და ხელში აიღებს ისევ მარქსისტულ მემკვიდრეობას.

ს. დევდარიანი.

## პრესა

საბჭოთა ჯარების პოლიტიკამ სომხეთის მიმართ ჩვენ „კატის და ბულბულის" იგავ-არაკი მოგვაგონა. ის, რასაც სწერს „კომუნისტი" უკანასკნელ მეთაურში, გვაგონებს „მგლის და კრავის" ამბავს. იმ ბარბაროსულ ძალადობას, რომელსაც დღეს სჩადის სომხეთის მიმართ საბჭოთა არმია, გაზეთი ასაბუთებს დაშნაკცუთიუნის წარსული ცოდვებით:

„სომხეთის გამგე ბატონ-პატრონი პარტია, რომელიც მეფურად ღებულობდა და გულითადი კავშირის ძაფებს აბამდა დენიკინის ელჩებთან, არც ღებულობს და საზღვარზედაც არ უშვებს საბჭოთა რუსეთის ელჩს და იმავე დროს რუსეთის წითელ ჯარის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებს. ასეთი დამოკიდებულება იმ მესამე ძალასთან, რომელიც ერთად ერთი სამართლიანი და წესრიგის ჩამომგდები მედიატორეა დღეს სომხეთსა და აზერბეიჯანის შუა, იწვევს საპასუხო ზომებს წითელი ჯარის ნაწილების უფროსების მხრით იმართება ულტიმატუმის გზავნა, ისკვნება ახალი საბედისწერო კვანძები, რომლის გადაჭრა ძვირათ უჯდება და დაუჯდება მშრომელ ხალხს, სანამ ის არ გამორკვეულა, სანამ არ მოუშორებია თავიდან შინაური საკუთარი მტრები, სანამ არ გაუწოდებია თავისი დაკოჟრებული ხელი ყველა მეზობელ ხალხთა მშრომელებისთვის".

გამოდის, რომ დაშნაკცუთიუნის ცოდვებისათვის უნდა დაისაჯოს სომხეთის მოსახლეობა, გამოდის, რომ დაშნაკცუთიუნის მხრივ დენიკინთან არშიყობისათვის სომხეთში უნდა შეყვანილ იქნეს შავი ოსმალეთის ლაშქარი, რომელიც რა თქმა უნდა, თავისებურათ გაუსწორდება სომხეთის ხალხს, რომლის ალგვას ლამობს უკანასკნელი ნახევარ საუკუნის განმავლობაში. და „კომუნისტი" ამას უწოდებს **„მედიატორობას"**! შევარცხვინე ამნაირი „მედიატორობაც" და თქვენი სამართალიც!

* * *

„ნორ-აშხატავორი" (№ 98) სწერს:

„ხანგრძლივი სისხლის მღვრელი ბრძოლების და აუარებელ მსხვერპლის შემდეგ სომეხმა მშრომელმა ხალხმა ძმური ხელი გაუწოდა მუშათა და გლეხთა რუსეთს და საბჭოთა აზერბეიჯანს, მაგრამ მისი ხელი ჰაერში დარჩა გამოკიდებული და სოლიდარობის საპასუხოდ დღეს „წითელი"

# დღეს

ინგლისის მიერ გაგზავნილ ნოტას საბჭოთა რუსეთისადმი ხელს აწერს ლორდ კერზონი. ნოტა მოითხოვს პასუხს ყველა იმ კითხვებზე, რომელნიც ინგლისის მთავრობამ მოკავშირეთა სახელით საბჭოთა მთავრობას წაუყენა.

ინგლისური ცნობით საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა გადიხადოს ძველი ვალების 25%.

ტოკიოდან მიღებული ცნობით შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ ყველა მთავარ სტრატეგიულ პუნქტებს იაპონიის ჯარები დაიკავებს.

ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა შაბათისათვის გადაიდო.

იტალიას ყოველ თვე გერმანიიდან მიაწოდებენ 180 ათას ნოტა ნახშირს.

გერმანული ცნობით კომუნისტების მიტინგი, რომელიც განიარაღების საპროტესტოთ შესდგა, უშფოთველად ჩატარდა.

**სამხედრო მინისტრის ბრძანება.**

1896 წელში დაბადებულ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცთ, რომელნიც გაწვეულნი არიან სასწავლო ყრილობაზე, სამხედრო მინისტრის ბრძანებით, გამოცხადების ვადა გაგრძელებული აქვთ 10 აგვისტომდე. დღემდის ვინც არ გამოცხადებულა, ვალდებულია სასჯელის თავიდან ასაცდენად გამოცხადდეს აღნიშნულ ვადაზე.

ჯარები ცდილობენ სასიკვდილო მახვილი ჩასცენ სომხეთის გულს.

„სომეხი რევოლიუციონური დემოკრატია სწუხს უაზრო მსხვერპლისა და სისხლის ღვრის გამო, მაგრამ მაინც არას დროს ხელს არ აიღებს თავის დამოუკიდებლობის დაცვისაგან.

„დაე დაიღვაროს სომეხ მუშის და გლეხის სისხლი მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, უკეთუ ეს საჭიროა და დაე, მსოფლიო დემოკრატიას „აღმოსავლეთის განთავისუფლების მესვეურებმა ანგარიში მისცენ ამ უმაგალითო მოქმედებისთვის“.

პირველი და შეიძლება უკანასკნელი განსაცდელი არ იყოს ეს.

მთელი სომეხი რევოლუციონური მშრომელი ხალხი ერთი კაცივით აღსდგება ამ ბრძოლის საპასუხოდ და დაე ამ სისხლის ღვრის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს იმათ, რომლებიც დღემდე გაურბიან სოლიდარულ მოქმედებას და სომეხ დემოკრატიის მიერ გაწვდილ ძმურ ხელს ჰაერში გამოკიდებულად ტოვებენ“.

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**ნაგვის დაგროვება „სუბოტნიკის“ მოლოდინში.** ვ. კამკოვი „პრავდაში“ ეხება „სუბოტნიკს“ და სხვათა შორის სწერს: „მე მომეპოვება ფაქტები, რომლებიც ნათელსა ჰფენენ „სუბოტნიკების“ იდეიას. მიასნიცკის საავადმყოფოს მოსამსახურეთა კომიტეტი და თვით მოსამსახურენიც სუბოტნიკებს უცქერიან ისეთ მოვლენათ, რომელიც მათ ნებას აძლევს ჩვეულებრივ შრომის დღეს არაფერი გააკეთონ.

„რისთვის უნდა გავსწმინდოთ იატაკი და ფანჯრები, ამბობენ მოსამსახურენი, დადგება შაბათი, მოვლენ „სუბოტნიკები“ და ყველაფერს გააკეთებენო.“

„რისთვის გავასუფთაოთ ეზო, ქუჩა—მოვლენ „სუბოტნიკები“ და გააკეთებენო,—ამბობენ მეეზოვები.“

უკეთესი კი იქნებოდა, ნაცვლად სხვა ადგილებში მუშაობისა „სუბოტნიკებზე“ გაგვეტარებია ის ჩვენთვის მიასნიცკის საავადმყოფოში. ახლა კი მთელი კვირის განმავლობაში ვაგროვებთ ნაგავს, ტალახს და ველოდებით „სუბოტნიკს“ („პრავდა“ № 154“).

**ძირს დედის გინება!** ვინმე მუშა „პრავდაში“ სწერს: „ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მსურს მივაქციო ყურადღება რუსეთის ცხოვრების ერთ ყველაზე უფრო სამარცხვინო მოვლენას ეგრეთწოდებულ დედის გინებას. მე ვფიქრობ, რომ ზედმეტია ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენათ სამარცხვინოა ეს გინება, ყოველგვარი უაზრო და უსირცხვო ვარიანტებით. გეჩვენება, რომ მეორე სიტყვა, რომელსაც ამბობენ მუშებისა და ღარიბის ხალხის ბავშვები—სიტყვა „დედას“ შემდეგ არის ეს სისაძაგლე, ნუ თუ არ არის საშუალება, რომ დაითრგუნოს ეს ბოროტება? ქარხნებში, ფაბრიკებში და ცენტრალურ დაწესებულებებშიაც კი ბევრ სრულიად შეგნებულ და გონიერ ამხანაგებისაგან გესმის ეს გინება, წარმოთქმული სიბრაზისა და გაჯავრების მომენტში კი არა, არამედ—ასე, ჩვეულებისამებრ, ზოგიერთების მიერ—კი დასაკვეხნათაც. მგონია, რომ თუ ეს გამოთქმა მოისპობა, მაშინ ლაპარაკი შემცირდება 75% შეიძლება აქაც, კომუნისტურ პარტიას, მიეღო თავის თავზე ინიციატივა და დაევალებინა პარტიის წევრებისათვის, რაც უნდა მძიმე არ იყოს ეს ზოგიერთებისათვის, თავის შეკავება, რომ ამ მხრივ ისინი გამხდარიყვნენ მაგალითი სხვა ამხანაგებისათვის. დაგვჭირდება ათეული წლები ვიდრე ამ სირცხვილს თავს დავაღწევდეთ—ამიტომ საჭიროა, ეხლავე, გადაუდებლათ, ამ საქმის დაწყება („პრავდა“ № 155).

**„წითელი მუშები მაუდის ქვეშ“.** ცუდია, როდესაც დაწესებულებებში საქმეებს მაუდის ქვეშ სდებენ.

მაგრამ უფრო ცუდია, როდესაც ისინი ახერხებენ ცოცხალ ადამიანების მაუდის ქვეშ შედებას.

კორბანგის საზოგადოებაში იყო ამნაირი შემთხვევა: ერთ დაწესებულებაში დასჭირდათ სამუშაო ძალა ძლიერ საჩქარო და საჭირო მუშაობის შესასრულებლათ. ეს ძალა მისცა ადგილობრივმა „კომტრუდმა“. დაწესებულებამ მიიღო თავის განკარგულებაში რამდენიმე ასეული მუშა და დაივიწყა ისინი.

რა და სად უნდა ეკეთებინათ ამ პირებს,—ნაჩვენები არ იყო. ისინი არც თავის საშინაო სამუშაოს აკეთებენ, არც საზოგადოებრივს.

რამდენიმე ასეული ადამიანი მაუდის ქვეშ არიან, და არ შეუძლიანთ განძრევა.

ბოლო დროს, როცა დადგა მინდორში მუშაობის დრო, ისინი ცოტა გათამამდნენ და განაცხადეს, რომ უნდა წავიდნენ სოფელში. დაწესებულება გაჰკვირდა:

„ვინა ხართ თქვენ? საიდან მოხვედით?“

შემდეგ გაჯავრდა:

„თუ თქვენ სამუშაოდ იყავით გაწვეულნი,—სად არის თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო?“

„მაგრამ რაში მდგომარეობს ეს სამუშაო? ჩვენთვის აქამდის არაფერი უთქვამთ“.

დაიწყეს მაუდის ქვეშ ქაღალდის ძებნა, რათა იმის მიხედვით გაეგოთ, სახელდობრ—რომელ მიზნისათვის იყო ამდენი ხალხი მოგროვილია.

აღმოჩნდა რომ... თოვლთან საბრძოლველათ.

თოვლი უკვე გადნა.

და მხოლოდ ამ აღმოჩენის შემდეგ გაუშვეს სამუშაოთ გაწვეულები, რომლებსაც ტყუილუბრალოთ დაეკარგვინეს ორი თვე. **ნ. ხლანცევი.** („ბედნოტა“ № 656).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

6 აგვისტო.

**ლიონის რადიო-სადგურიდან.**

(ინგლისურ გზაზე).

**ომში დაღუპულთა პატივსაცემლად.**

ბრენ ღალლეიდის სოციალისტურმა ჯგუფმა მოაწყო ცერემონია იმ ჯარისკაცთა პატივსაცემად, რომელნიც ომში დაიღუპენ და იმ მოქალაქეთა, რომლებიც შიმშილით დაიხოცენ. ამ ცერემონიაზე დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ სოციალისტმა ბრიუნემ მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვა: ეს დემონსტრაცია პალატის თავმჯდომარის მხრივ მით უფრო მნიშვნელოვანია სწერს „ტანი“, რომ ბრიუნე დიდის ავტორიტეტით სარგებლობს მათ შორის, ვისაც მიდრეკილება აქვს შეურიგდეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, ბრიუნემ მხურვალეობით აღნიშნა, რომ ის ლაპარაკობს, როგორც დეპუტატი და არა როგორც პალატის თავმჯდომარე. შესაფერი პატივი სცა რა სამშობლოსათვის თავდადებულთ, მან პროტესტი განაცხადა გერმანიის ბოროტების დავიწყების ტენდენციის წინააღმდეგ. ბრიუნემ სრულიად უარყო ყოველგვარი ანტიმილიტარისტული თვალსაზრისი. ჩვენ უნდა შევკავშირდეთ, რომ შეძლება გვქონეს ხელი შეუშალოთ ომს, განაცხადა მან, და დავიცვათ ბელგია თავდასხმისაგან. ბრიუნე არ ეთანხმება მათ, ვინც მაასის ხაზს სთვლის ბელგიის ბუნებრივ საზღვრათ (შემდეგ დამახინჯებულია)

**ფრანგული ცნობები.**

**ხალხთა ლიგა.**

სან-სებასტიანში ხალხთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა საერთო კრების პირველ სხდომაზე დღის წესრიგში დააყენოს საკითხი ბლოკადის შესახებ და დანიშნოს საერთაშორისო ბლოკადის კომისია. შემდეგ საბჭომ დაადგინა მოიწვიოს შეერთებული შტატები თავისუფალ დამოკიდებულებისა და ტრანსპორტის საკითხის შესახებ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებათ.

**ხელშეკრულება ოსმალეთთან.**

ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა შაბათისათვის გადაიდო.

**ნოტა საბჭოთა რუსეთისადმი.**

საბჭოთა რუსეთისადმი ინგლისის მიერ გაგზავნილ ნოტას ხელს აწერს ლორდ კერზონი. ნოტა სწერს: „პტიპარიზიენი“, მოითხოვს პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც ინგლისის მთავრობამ მოკავშირეთა სახელით წაუყენა საბჭოთა მთავრობას და რუსეთის ყურადღებას აქცევს იმ შედეგებზე, რომელიც იქნება გაურკვეველ პასუხს, ან უარს (დამახინჯებულია).

**მრეწველობის აღორძინებისათვის**

იმ დეპარტამენტთა მრეწველობის აღორძინების ბიურომ, რომელიც მტრის თავზე დასხმის მსხვერპლი შეიქნა, დაიწყო საკითხის შესწავლა იმ სამრეწველობის აღდგენის შესახებ, სადაც არა ნაკლებ 20 კაცისა მუშაობს. ჟურნალ „დე-დებაში“ დაბეჭდილ სტატისტიკური ცნობების მიხედვით 1920 წ. ივლ. 1. იმ სამრეწველოში, სადაც 20-ზე ნაკლები მუშა არ იმყოფება, ცნობები წარმოადგინა მუშაობის განახლების შესახებ 76,9 პროც. სამრეწველო დაწესებულებათა აღდგენის შემდეგ მუშათა მდგომარეობა გაუმჯობესდა. 1919 წლის ივლისში ის შეადგენდა 9,7 პროც. 1920 წ. იანვარში მიაღწია 41,9 პროც., და 1920 ივლ. 1 65 პროც.

**გერმანული ცნობები.**

**ნახშირი იტალიას.**

იტალიას ყოველ თვე გერმანიიდან მიაწოდებენ 180.000 ტონ ნახშირს. აქე-

არმიის და მის მიერ შექმნილ პოლონეთის არმიის ხიშტებზე. ფრანგები პოლონეთის მთავრობას არ აძლევდენ ზემო-სილეზიის ქვა ნახშირს, რათა პოლონეთი გადაექციათ გერმანიის წინააღმდეგ დაგეშილ ძალათ. თეთრი პოლონეთის, როგორც სამხედრო ძალის მოსპობა, გერმანიის მთავრობას მოქმედების მნიშვნელოვან თავისუფლებას აძლევს. გერმანიის მთავრობა ისარგებლებს ამით, რათა მიაღწიოს ამით ვერსალის ზავის ფაქტიურ გადასინჯვას და ამ მიმართულებით უკვე გადგა ნაბიჯები: სცდილობს მოკავშირეებს ხელი აალებინოს გერმანიის არმიის განიარაღების მოთხოვნილებაზე. მოკავშირენი ყოველ ნაბიჯზე შეხვდებიან გერმანიას, რომელიც ეხლა სულ სხვა ენაზე ლაპარაკობს, ვიდრე პოლონეთის განადგურებამდე.

ვერსალის ზავის ჩაშლა ნიშნავს, რომ მოისპობა ანტანტის საფრთხობელა, რომლითაც გერმანიის ბურჟუაზია ხშირათ აშინებს გერმანიის მუშებს.

**მე-3 ინტერნაციონალის კონგრესზე.**

**მოსკოვი.** 4 აგვისტო. (რადიო). 3 აგვისტოს სხდომაზე ამხ. ბუხარინმა წაიკითხა მოხსენება პარლამენტარიზმთან კომუნისტურ პარტიის დამოკიდებულების შესახებ. ის აღნიშნავს კომუნისტურ პარტიის როლს ორგვარ პირობებში: 1) მშვიდობიან პირობებში, როდესაც პროლეტარიატს რამოდენადმე საერთო ინტერესები აქვს კაპიტალიზმთან, სოციალისტური ფრაქცია სცდილობს პარლამენტში დიდი მნიშვნელობა მოიპოვოს; 2) კაპიტალიზმის დარღვევის და სამოქალაქო ომის დასაწყისში სოციალისტური ფრაქცია პარლამენტის დამგრევი იარაღია. შემდეგ ამხ. ბუხარინი არჩევს ევროპის პარლამენტების (სოციალისტურ) ფრაქციათა შემადგენლობას და მუშაობას და აღნიშნავს, რომ ცოტათ თუ ბევრათ მათ ახასიათებს სხვა ფრაქციებთან შეთანხმების ტენდენცია. უკიდურესათ რევოლიუციონურათ განწყობილი მუშები სრულიათ უარჰყოფენ პარლამენტში მონაწილეობას: მისი რევოლიუციონურათ გამოყენება მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას კომუნისტური ფრაქცია, სრულიათ განწმენდილი შეთანხმების მომხრე ელემენტებისგან. ასეთი ფრაქცია გულწრფელათ შეუდგება ცხოვრებაში დასახულ მიზნების განხორციელებას.

# საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

**ლონდონი.** ივლ. 22. „დეილი მეილი“ იუწყება: კავშირი ინგლისსა და იაპონიას შორის ამ ორ სახელმწიფოთა ზღვაზე ბატონობას ამყარებსო. გერმანიის გავლენის დაკარგვა შორეულ აღმოსავლეთში, სრულიად სცვლის იმ ხელშეკრულებას, რომელიც ინგლისსა და იაპონიას შორის 1911 წელში დაიდო. ამ ჟამად დაიდო ახალი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით.

„დეილ-ტელეგრაფის“ ცნობით ადერბეიჯანის ციხეებში ამ ჟამად 48 ბრიტანელი მოქალაქე და 8 ფრანგი იმყოფებაო.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იუწყება: საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა ძველი ვალის 25% იცნოს. გაზეთი იუწყება,

რიგი სამხედრო ხასიათის თათბირი შემდგარა. თათბირს დასწრებია: რაკოვსკი, მანუილსკი და პოდვოისკი. თათბირის შემდეგ გენ. ბრუსილოვი პოლონეთის ფრონტზე გაემგზავრა.

**ლონდონი.** ივლ. 18. „დეილი ხრონიკელი“ გადმოგვცემს, რომ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან ლონდონში ამ მოკლე ხანში დაიწყებაო. შექმნილი კონიუნქტურა ბოლშევიკებისათვის ძლიერ ხელსაყრელია. საფიქრებელია, რომ საკითხი ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ დადებითად გადაწყდება. შესაძლებელია აგრეთვე, რომ პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკებაც დაიწყოს. ეს შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკები ხელს აიღებენ ახლო აღმოსავლეთში აგრესიულ პოლიტიკაზე.

**კონსტანტინოპოლი.** ივლ. 22. ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ ქემალისტებს აზრათ აქვთ თავი მოიყარონ არირნ-კარა-ილარის რაიონში, სადაც ოსმალთა ნაციონალისტების ბაზა იქნება შექმნილი. ქემალისტებს განზრახვა აქვთ ბრუსის წინააღმდეგ შეტევის დაწყება. „ელეფთერონის“ მიერ მიღებულ სარწმუნო ცნობით, ქემალისტები მოქმედებენ ერთ მხრით ტრაპიზონთან, მეორე მხრით კერასუნდთან. ამ რიგად ქემალისტებს დაკავებული აქვთ მთელი შავი ზღვის ხაზი, დაწყებული ტრაპიზონთან ბობამდი. მათ ერზერუმიდან მოტანილი შორს მსროლელი ზარბაზნები აქვთ დადგმული, ამ ხაზს 2000 რევოლიარული ჯარისკაცი იცავს.

**ტოკიო.** ივლ. 22. ვინაიდან ჩეხოსლოვაკების ევაკუაცია უკვე დამთავრებულია, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა იმერბაიკალის ოლქიდან ჯარების გამოწვევა. იაპონიის ძალებს თავს მოუყრიან შორეულ აღმოსავლეთში, სახელდობრ იაპონიის ზღვის ნაპირთან და ამურის შესართავთან. იაპონიის ჯარებს შეიყვანენ აგრეთვე ხაბაროვსკში, სადაც ბევრი იაპონელი ცხოვრობს. საერთოდ შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ ყველა მთავარ სტრატეგიულ პუნქტს იაპონიის ჯარები დაიკავებს.

**პარიზი.** ივლისის 12. საფრანგეთის უკიდურესმა სოციალისტებმა ამ ბოლო ხანებში სრულიად დაკარგეს თავისი გავლენა. პარტიის ეროვნულ საბჭოს სხდომაზე ხმის უმრავლესობით უარყვეს საკითხი მანდატის მიცემის შესახებ რუსეთში მყოფ კაშენისა და ფროსარისათვის, რომელთაც მესამე ინტერნაციონალში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. ასევე დამარცხდა უკიდურეს მემარცხენეთა სხვა წინადადებანი, რომელნიც შეეხებოდა მთავრობისათვის მაისის რეპრესიების გამო პროტესტის გამოცხადებას. იტალიის პრესა და მათ შორის „კორიერა დე-ლა-სერა“ ამტკიცებს, რომ საფრანგეთში ჯანსაღი მენშევიკური მოძრაობა იმარჯვებსო.

**ვენა.** ივლ. 19. საარბიტრაჟო კომისიამ ინგლისელ პოლკოვნიკ ტელენსის თავმჯდომარეობით დაადგინა: გაიყვანოს საზღვარი ესტონეთსა და ლატვიას შორის ვალკთან, იმ პირობით, რომ ვალკის უდიდესი ნაწილი ესტონეთს გადაეცეს. ასეთ დადგენილების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა ლატვიის საგარ. საქმეთა მინისტრმა: ასეთ დადგენილების შემდეგ აღარ შეგვიძლია მთავრობის წევრათ დავრჩეთ. ამასთანავე ლატვიის მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებიც გადადგენ თანამდებობიდან.

**ბერლინი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მაიერმა განაცხადა: მთავრობას აქვს არა პოლიტიკური, არამედ საქმიანი ხასიათი. მთავრობის მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს წესრიგის დაცვა და არჩევნების უზრუნველყოფა. მთავრობა არახელსაყრელ პირობებში შესდგა. იმ კამათის დროს, რომელიც მთავრობის დეკლარაციის შესახებ გაიმართა, სოციალისტების ლიდერმა ოტო ბაუერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ ევროპის მუშათა კლასი იმდენათ ძლიერი კი არის, რომ ბურჟუაზიას ბატონობას საშვალება აღარ მისცესო. მაგრამ მუშათა კლასი არ არის იმდენად ძლიერი, რომ სახელმწიფოს მართვა გამგეობა აიღოს ხელში. ასეთ პირობებში მთავრობის შედგენა ძლიერ ძნელდებაო.

**სომხეთი.** აგვისტოს 4. მთავრობის ჯარმა ბრძოლით დაიკავა ქალ. გერიუსი (ზანგეზურში).

# ახალი ამბები

**დამფუძნებელ კრების სხდომა.** დამფუძნებელ კრების სხდომა ბიუჯეტის საკითხის შესახებ დანიშნულია შაბათს, აგვისტოს 7 ს. სხდომა დილის 9 საათზე დაიწყება.

✦ **ტეხნიკურ მიზეზების გამო** გაზეთ „სოფლის მუშის“ გამოცემა რამოდენიმე ხნით გადაიდო. მიღებულია ზომები საჩქაროთ გამოსაცემათ.

✦ **რესპუბლიკის პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სააგადმყოფო კასათა საყურადღებოთ.** ვთხოვთ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს რაც შეიძლება დაჩქარებით, არა უგვიანეს 1 სექტემბრისა, გამოგზავნონ სია იმ ამხანაგებისა, რომლებთა გამოგზავნაც მათ სასურველათ მიაჩნიათ პროფესიონალურ და კოოპერატიული მოძრაობის შესასწავლ კურსებზე. პირველი სექტემბრიდან სიების მიღება შეწყვეტილი იქნება. სიები უნდა იქნან გადმოგზავნილი შემდეგი მისამართით: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი „მუშათა სასახლე“ სართული მეოთხე ოთახი 51. კურსების მომწყობი საორგანიზაციო კომისია.

✦ **ბრძოლა კონტრაბანდასთან.** აგვისტოს ოთხს იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით შემდგარ კანონების გადამსინჯავ კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის კანონპროექტი.

✦ **ფეხსაცმელები მცხოვრებთათვის.** ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო შვეიცარიიდან დიდძალი ფეხსაცმელები, რომელიც გამოვა მცხოვრებლებზე გასასყიდათ გაიყიდება აგრეთვე შვეიცარული ჰიგიენური ხის ძირიანი ფეხსაცმელი, სასურსათო განყოფილების სარძეო-გასტრონომიულ მაღაზიაში იყიდება ერბო გირ. 220 მან. და კარაქი გირ. 200 მან.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებს დაუგზავნა ცირკულიარი იმის შესახებ, რომ ერთ გადასაგზავნ ბლანკით შეიძლება გადაიგზავნოს 50.000 მანეთამდე. ფულების გადაგზავნა ერთი პირის სახელზე შეიძლება განუსაზღვრელად.

✦ **სახალხო გვარდიის საგანგებო** ბატალიონის კულტურულ-განმანათლებელი სექცია აცხადებს, რომ ადერბეიჯანის ფრონტზე ამავე ბატალიონის დახოცილ გვარდიელთა ოჯახების დასახმარებლათ გადადებულია ოცდა-ათი ათასი მან. (30,000 მ.) თითოზე. ფულის მიღება შეუძლიათ მშობლებს, ცოლს და შვილებს და თუ აგეთი არ ყავთ—უწლოვანო დებს და ძმებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ სექციაში (საპიორის ქუჩა № 23 სახ. გ. საგანგებო ბატალიონი) სათანადო მოწმობები: 1) პირადობის მოწმობა და 2) მინდობილობის ბარათი ფულის ასაღებათ მოკლულის ოჯახიდან, ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ შემოწმებული.

✦ **ავჭალის შუშის ქარხანა** ქალაქთა კავშირმა საქართველოს ცენტრ. კოოპერატ. კავშირთან ერთად შეიძინა ავჭალის შუშის ქარხანა. გადაწყვეტილია მოკლე ხანში შუშის დამზადების გაფართოება.

✦ **წერილები კონსტანტინოპოლიდან.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მიერ კონსტანტინოპოლში მყოფ საქართველოს კონსულიდან 38 წერილი არის მიღებული. ეს წერილები თფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორას გადაეცა, რათა უკანასკნელმა ეს წერილები დაზღვეულ ბარათების სახით დაუგზავნოს ადრესატებს.

✦ **საპყრობილის უწყების მოსამსახურეთა ტანისამოსის ფორმა.** იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ტანისამოსის ფორმისა საპყრობილეთა უწყების მოსამსახურეთა და სადარაჯო საგანგებო ბატალიონის ჯარისკაცებისათვის.

✦ **ქალაქთა საბიუჯეტო უწყებანი.** ქალაქთა კავშირის კომიტეტმა დადგინა დამფ. კრებაში შეიტანოს კანონ-პროექტი ქალაქთა საბიუჯეტო საფინანსო უფლებათა შესახებ

✦ **თფილისის ქალაქის მოურავი** აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ბინის საქმეების შესახებ მთხოვნელთა მიღება შეწყვეტილია.

✦ **საქართველოს ცენტრო ბანკის საბჭოსა და გამგეობის** შეერთებულმა სხდომამ დაადგინა დაუყონებლივ გახსნას კონსტანტინოპოლში ბანკის განყოფილება. განყოფილების მმართველად მოიწვიეს დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე სურგულაძე, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა კონსტანტინოპოლში და კარგად იცნობს ადგილობრივი ცხოვრების პირობებს. სურგულაძემ ამ განყოფილების მოსაწყობად მუშაობა უკვე დაიწყო. განყოფილება მუშაობას ენკენისთვის 15-დან დაიწყებს.

✦ **საქართველოს ცენტრ. პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის** უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს: 1) სატარიფო პალატაში დელეგატათ გაგზავნონ პალატის ყოფილ წევრის გრ. მეიფარიანის მაგიერ პ. კავკასიძე. მუშათა სექციაში სატარიფო პალატის დელეგატათ გაჰგზავნონ აბდუშელიშვილის მაგიერ გრ. ხელაძე. 2) ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ დროებით რედაქტორათ მოიწვიონ იურ. ტრეიმანი.

✦ **კაპელას ამხანაგობა,** შემდგარი ორმოცი მსახიობ მომღერალთაგან ვ. ი. დანოვსკის ლოტბარობით, ოთხშაბათს, აგვ. 11-ს სახელოსნო კლუბში მართავს დიდ კონცერტს. შესრულებული იქნება ქართველ და ევროპიელ კომპოზიტორთა ნაწარმოები. სიმღერებს შეასრულებს გუნდი, დუეტი და სოლო.

✦ **მხატვარ მოსე თოიძის ბინის გაქურდვა.** თფილისში გონჩარნის ქუჩაზე კვირა საღამოს 1 აგვისტოს გაქურდეს მოსე თოიძის ბინა, მის ბორჯომში ყოფნის დროს. სულ წაუღიათ ტანსაცმელები, ლოგინი, საცვლები და სხვა ნივთები 150 ათასი მანეთის ღირებული. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში.** 31 ივლისს საღამოს 7 ს. შესდგა დრამატიულ საზოგადოების სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა. კომისიის თავმჯდომარეთ ფარული ხმის მიცემით არჩეულ იქმნა ა. მ. ახნაზაროვი. კომისიამ საჭიროთ დაინახა თავისათვის ერთგვარი წესრიგი შეიმუშავოს მისდა დაკისრებულ მოვალეობის ასასრულებლად, ე. ი. საზოგადოების ქონებისა და ანგარიშების შესამოწმებლად, და ასეთის წეს-რიგის შემუშავება მიანდო თავმჯდომარეს ა. მ. ახნაზაროვს. დასასრულ კომისიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ აქამდე არ არის აღსრულებული საზოგადო კრების 25 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ახლად არჩეულს გამგეობას დავალებული აქვს სარედაქციო კომისია მოიწვიოს საზოგადოების ახალ წესდების საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად, და დაადგინა: ეს გარემოება გაითვალისწინოს გამგეობამ და სთხოვოს, რომ შემუშავებულ იქნეს სარედაქციო კომისიის მოწვევა და ამ კომისიის მიერ შემუშავებულ საზოგადოების წესდების დამტკიცება. შემდეგი სხდომა სარევიზიო კომისიისა დაინიშნა შაბათს, 7 აგვისტოსათვის, საღამოს 7 საათზედ, ამ სხდომაზედ სარევიზიო კომისია გაეცნობა საზოგადოების გამგეობის ოქმებს და მის უწინდელს მოქმედებას.

✦ **დაჰკარგე** 26 ივლისს 1920 წელს საჩხერის რაიონში პირადობის მოწმობა, მოცემული ჭიათურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან 19 ივლისის თარიღით, რომელიც დღეიდან გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. რეზერვის გვარდიელი თეოფილე ჭეიშვილი.

✦ **საქართველოს სიმდიდრე.** თფილისის ბოტანიკურ ბაღის დირექტორმა დამფ. კრების საპროპაგანდო კომისიას მოხსენება წარუდგინა სპეციალურ წიგნის: „საქართველოს ბოტანიკური ბაღები და მცენარეულობის მოყვანის პერსპექტივების“ გამოცემის შესახებ. ამ წიგნში აღწერილი უნდა იქნეს თფილისის, ბათომის და სოხუმის ბოტანიკურ ბაღების ღირსშესანიშნავი ადგილები. მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველო ფართო შესაძლებლობას ინახავს თავის არსებაშიო. რესპუბლიკის მთების სიმდიდრე ამ ქვეყანას ოდესმე დიდ სამრეწველო ქვეყნად გადააქცევს. ჯერ-ჯერობით კი მთელი ყურადღება სასოფლო მეურნეობას უნდა მიექცეს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში მცენარეულობის მოყვანას, ამისათვის კი საჭიროა ბოტანიკურ და გეოგრაფიულ გამოკვლევის მოხდენა, საჭიროა საქართველოს ფლორის შესწავლა, უცხო სასარგებლო მცენარეულობის აკლიმატიზაციის საკითხის შესწავლა და სხ. აქვე აღმოსავლეთის ფლორის შესასწავლად, რომლითაც მთელი ქვეყანაა დაინტერესებული, დიდძალი, მასალა მოიძებნება. მოხსენების დასასრულ ნათქვამია, რომ საქართველოს სამართლიანად შეუძლია იამაყოს სხვა სახელმწიფოთა შორის თავის მდიდარ ბოტანიკურ ბაღებით, რომელთა დაწვრილებითი აღწერა ჩვენთვის აუცილებელია, თუ გვინდა გავაცნოთ ევროპას და ამერიკას საქართველოს მცენარეულობის მოყვანის ბრწყინვალე პერსპექტივები.

✦ **სასამართლოს დაწესებულებანი ბათომში.** თფილისში დაბრუნდა სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ა. ყანჩელი, რომელიც იუსტიციის მინისტრის მიერ გაგზავნილი იყო ბათომში სასამართლოს დაწესებულებათა მისაღებად. ყანჩელმა იუსტიციის მინისტრს მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საოლქო სასამართლოს საპროკურორო ზედამხედველობის, მომრიგებელ მოსამართლეების და სხვ. დაწესებ. საქმეებისა და ქონების მიღება დასრულებულია. ყოველგვარი საქმე და ქონება ქუთაისის ოლქის სათანადო სასამართლოს ორგანოებს გადაეცა.

✦ **გორის აღდგენა.** მთავრობამ დაამტკიცა იუსტიციის მინისტრის მიერ შემუშავებული პროექტი დეკრეტისა გორში შენობების ასაგებად კერძო მესაკუთრეთა ადგილების ჩამორთმევის შესახებ. პროექტი განსახილველად დამფუძნებელ კრებაში შეიტანეს.

✦ **დღეს,** 7 აგვისტოს ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 123). თფილისის „სურსათზე“ მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება გრანდიოზული საღამო-სეირნობა, ალეგრალატარეით. რუსულ-ქართული და სომ-

ხური ერთ მოქმედებიანი ვოდევილები არტისტ ტარასოვის მონაწილეობით. ბალში ყოველნაირი სათამაში, მუსიკა, ზურნა და საზანდარი. მონაწილეობას მიიღებენ პოეტები გ. ტაბიძე და სხვა. ვინაიდან სურსათზე მომეტებული ფასი ... ვანაში ფასები ჩვეულებრივზე იაფი იქნება. შესასვლელი ფასი 25 მან. საღამო გაგრძელდება ღამის 3 საათამდე. ბალში შესასვლელი ბილეთით უფლება აქვს თეატრშიც შევიდეს სრულიად უფასოდ.

— **სამხედრო შკოლაში** თხოვნების მიღება გრძელდება.

— **ბათომის სახეიმო ჩაბარება.** შაბათს საღამოს 7 მარიამობისთვის საგანმანათლებლო სამინისტროს კულტურ.-განმანათლებლო სექცია სახალხო კონცერტს უფასოთ,—ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის-კაცებს ბათომის საზეიმო ჩაბარების.

— **დახმარება ხიდის ლტოლვილთ.** საქართველოში მყოფ სომხების ეროვნულ საბჭოს თფილისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების, ახალქალაქის სომხების წარმომადგენელთა ორგანოსი და ახალქალაქის სომხების სათავისტროში წარმომადგენლებმა მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს შუამდგომლობით, დიდმაროს ახალქალაქის მაზრის სომეხ ლტოლვილთ, რომელნიც სურსათის მხრივ საშინელ გაჭირებას განიცდიან. იგი ითხოვს ლტოლვილთათვის პურის მიცემას, რომლის ერთი ნაწილიც უღარიბეს ლტოლვილთ უფასოდ უნდა მიეცეს, მეორე ნაწილი კი მცირე ფასით. ამას გარდა შუამდგომლობაში აღნიშნულია საჭიროება ლტოლვილთათვის ცეცხლის მიცემის და ახალქალაქის მაზრაში სურსათის თავისუფლად შეტანისა.

— **სესხი ქ. თფილისის თვითმართველობას.** შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობაში წინადადებით შევიდა, რათა ქ. თფილისის ქალაქის თვითმართველობას მიეცეს 48 მილ. მან. სესხი. ქალაქს სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სხვა და სხვა ზომების მისაღებად, რომ ქალაქში ეპიდემია არ გაჩნდეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს 50 მილ. მან. სესხის გაცემის შესახებ შუამდგომლობა წარუდგინა. ეს თანხა საჭიროა ქალაქის თვითმართველობის სასურსათო ოპერაციების გასაფართოვებლად. სახელმწიფო კონტროლიორი დაეთანხმა თფილისის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობას, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს სესხი ქალ. თვითმართველობამ მიიღოს 3 წლის ვადით და თუ წლიურში 3½ % დაიბრუნდეს.

— **საღამო.** კვირას, 8 აგვისტოს, პროფ. კლუბში (დამფ. კრების ქუჩა) გამართება სამუზეუმო მუშაკთა კლუბის სასარგებლოდ გრანდიოზული საღამო.

— **სასტუმრო ნაშთების დაცვა.** დამფ. კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა ხელოვნების კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სასტუმრო ნაშთების რესტავრაციისა და დაცვისათვის საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— **სომხეთის წერილების გზავნის ფასი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა აგვ. 5 დამტკიცა შემდეგი ტარიფი სომხეთში ფოსტით გასაგზავნ წერილებზე: ბანდეროლიანი წერილები წონით 15 გრამდე ღირება—1 მან., საქმის ქაღალდები და ნიმუშები წონით 15 გრამდე—5 მან., ღია წერილი 3 მან. დაზღვეული წერილი უბრალო 15 გრამ.—5 მან., დაზღვეული იმდენივე ღირს, რამდენიც უბრალო, მაგრამ დაზღვევისათვის ყოველ წერილზე გადახდება 5 მან., მისალოცი ბარათები 15 გრ.—5 მან., სტამბეული ტარიფი შემდეგია: სიტყვა ღირს 5 მან. საწრიალო დეპეშა სიტყვა ღირს 15 მან.

— **კურორტების გამგეობისა.** ქალ. კავშირის კომიტეტმა დაადგინა წარუდგინოს შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სამინისტროს ქალაქთა წარმომადგენლების კრების რეზოლუცია, რომელიც კურორტების მოწყობას და გამგებლობას ეხება. რეზოლუციით კურორტების გამგებლობა და ზედამხედველობა უნდა ჩაიბარონ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებმა, რომლებსაც ფინანსიური დახმარება უნდა აღმოუჩინოს მთავრობამ. რეზოლუციაში აღნიშნულია საჭიროება ჯანმრთელობის დეპარტამენტთან განსაკუთრებულ თათბირის მოწვევისა კურორტების საკითხის გამოსარკვევად. კერძოდ დადგენილია ამ ... კურორტის ... ქალაქის თვითმართველობისათვის ... პრინციპული წარმოების გადაცემის შესახებ.

— **ინვალიდთა ნეშთის გადახდება.** თფ. ქალ. თვითმმართველობამ დაადგინა გადასახადების ... ინვალიდ ჯარის კაცთა ნეშტები, რომლებიც კერძო ადგილას არის დამარხული. ამ ცნობებისათვის ქალ. თვითმართველობამ თხოულობს საჭირო თანხას. დაკრძალვამდე მონაწილეობას მიიღებს ... მისია.

— **თფილისის მაზრის** მესამე უბნის გამომძიებლის მოვალეობის აღმასრულებლად დაინიშნა ნაფიცი ვექილი ი. ელიავა.

— **ბათომის მეორე უბნის** გამომძიებლის მოვალეობის აღმასრულებლად დანიშნად იუსტიციის მინისტრის განკარგულებით დაინიშნა სენატის პროკურორი დიმიტრი ნ. იოსავა.

**კრებები.**

დღეს, 7 აგვისტოს საღამოს 6 ს. მუშათა რაიონული კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. ყველა ქალაქის კოლექტივების და ქალაქის ორგანიზაციის კრება.

**პროვინციის ქრონიკა.**

**სენაკი.** კვირას, 8 აგვისტოს ქ. სენაკში ადგილობრივი თვითმართველობა ერობა და საზოგადოება მასხიობ და საზოგადო მოღვაწეს შ. დადიანს უმართავს საღამო-წარმოდგენას. ამასთანავე საგანგებო კრებაზე სენაკის თვითმართველობამ დაადგინა; ნიშნად პატივისცემისა მიართვას შ. დადიანს სამოსახლო ადგილი და სახლის ასაშენებელი მასალა. ქ. სენაკელი.

## შინამრეწველობისათვის

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ მესამე წელიწადია ბევრი რამ კარგი გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ არ იქცევა სათანადო ყურადღება ისეთ დარგს, როგორიც არის მრეწველობა, ჩვენი ნედლი მასალის ადგილობრივ დამუშავება.

საჭიროა ამ დარგს მიექცეს მეტი ყურადღება, თორემ ჩვენი მდგომარეობა ყოვლად აუტანელი შეიქმნება.

თუ ჩვენ დღეს პოლიტიკურად თავისუფალნი ვართ, ეკონომიურად დამოკიდებულნი ვართ სხვა სახელმწიფოზე.

საჭიროა საქართველოს ეკონომიური საქმიანობის უზარიც.

ყველა სახელმწიფო, რომელსაც თავისი წარმოება აქვს, საუკეთესო ნაწარმოებს იტოვებს შიგნით სახმარებლად, რაც უვარგისია, მიაქვს იმ სახელმწიფოში, რომელსაც წარმოება არ აქვს და იღებს უვარგისში საუკეთესო საქონლის ფასს.

სპარსეთი გაავსო ინგლისმა უვარგისი ჩითებით და ამ ბოლო დროს ჩვენც გავსინჯეთ იტალიური ჩითები, რომლის შეძენა ზარალია; კოჭის ძაფიც კი დასანანებელია...

ხალხს სჭირია ჩითი, ნარმა, მიტკალი, რომელიც ბამბისაგან მზადდება. ბამბის მოყვანას ჩვენში ცოტაოდნად მაინც მისდევენ, ჩვენ მეზობლებს (სომხეთს და აზერბაიჯანს) ბლომად აქვს, სადაც შეგვიძლია შევიძინოთ, საჭიროა მანქანები, რომლებიც შეძენილ უნდა ... ; უკეთუ მთელი კომპლექტის მანქანების ვერ შევიძენთ, ჯერ ჯერობით ნართის დასამზადებელი მანქანები შევიძინოთ.

კარგი ხარისხის ნართი უნდა მივაწოდოთ შინა-მრეწველებს, რომლებსაც შეუძლიათ მოქსოვონ ნარმა და სარჯანკა.

დღეს საქართველოში 500 ასეთ საქსოვ მანქანაზე მეტია, მაგრამ ნართის უქონლობის გამო მეტი მათგანი გაჩერებულია.

თფილისში ნართის დასამზადებელი ქარხნები არის ორი: ერთი მახეუ ბეგოვის და მეორე ..., რომლებიც ამზადებენ ნართს ხშირად ... შესაკერს. უმნიშვნელო ნაწილი ამ ნართისა გამოდის ბაზარზე. ნართი ძვირი ხარისხისაა და მოსაქსოვად არ ვარგა.

ამ საქმეს დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ არა თუ სახელმწიფომ, საზოგადო ორგანიზაციებმა, არამედ—კერძო პირებმაც, რომლებსაც თანხა აქვთ.

პროექტები ჩვენში საზოგადოდ ბევრია, მაგრამ მარტო პროექტები და ლაპარაკი არ კმარა, მაგამ არ არის დაგვიანებული, საქმის გაკეთება უნდა.

ალ. ელენტი.

**ოზურგეთი.** რამდენიმე წლის წინად ქ ი. სულეხიამ დაარსა ძაფის სახვევი ფაბრიკა. ეს პირველი ფაბრიკაა გურიაში. ... მაზრო ერობამ ... ადგილობრივი ... პარკის ამ ქარხანაში ... კოოპერატივმა ... ოპერაციებს აწარმოებს და ... მუშაობა ... მუშაობს 80-მდე კაცი.

X.

## ფინანსთა სამინისტროში

**დღიურების რაოდენობის შეცვლა.** აგვისტოს 5 პროფ. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით დღიური ჯილდოს შეცვლის საკითხის შესახებ შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი, რომელსაც ყველა უწყების წარმომადგენელი დაესწრო. თათბირზე გაირკვა დღიური ჯილდოს გადიდების საკითხი, რის განხილვის შემდეგ თათბირი დაეთანხმა ფინანსთა მინისტრის წინადადებას—ეს დადგენილება მოკლე ხანში გამოქვეყნდება.

**ს. ავალიანის გამგზავრება.** ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი მიემგზავრება ბათომს, სადაც უნდა დაათვალიეროს ის საბაჟო სამრეწველო დაწესებულებანი, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება.

**საბაჟოზე სამმართველოში**, საბაჟოზე სამმართველოს ... რომლებიც ... დაინიშნა, ს. ს. ბაჭრაძე დაინიშნა. ... ბაგიდ მ. ღამბარაშვილი. (სდს).

## შინ. საქმ. სამინისტროში

ყველა მაზრის და ქალაქის მილიციის უფროსებს და ყველა სამაზრო და ქალაქის თვითმართველობას შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი გადაუგზავნა: „იძულებით საქართველოში დაბადებულნი ყველა 1888 და 1889 წლებში დაბადებულნი სათადარიგო ... 5 აგვისტოთ 2 ივლისიდან ... ყველა 1896 წელში დაბადებულნი ... ჯარისკაცები ... ვინც 5 აგვისტომდე არ გამოცხადდება, ჩაითვლება დეზერტირად და სახელმწიფო, მოღალატედ და დაისჯება არსებული კანონის მთელი სისასტიკით. ცნობები გამოცხადებულთა რიცხვის შესახებ მოგვაწოდეთ ყოველ დღე; აღნიშნულის შესრულება გევალებათ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

## მუშათა დელეგაციის საბჭოთა რუსეთში გაგზავნა

დამფ. კრების საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ დაადგინა პროფ. კავ. ცენტრ. საბჭოს გადაეცეს საბჭოთა რუსეთში მიმავალ დელეგაციის საჭიროებისათვის 8 მილ. მანეთი.

დამფუძნებელი კრებაში შეიტანეს განსახილველად სათანადო პროექტი დეკრეტისა.

აგვ. 7 შესდგება მუშათა სასახლეში რუსეთში მიმავალ დელეგატების კრება. ამ კრებაზე აირჩევენ კომისიას საჭირო მასალის შესაკრებათ: მუშათა კანონმდებლობის, საქართ. მუშათა მდგომარეობისა და სხ. შესახებ.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ საბჭოთა რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციის თავმჯდომარედ ამორჩეულ ა. დგებუაძეს არ შეუძლია თფილისიდან წასვლა. ამიტომ, ფიქრობენ, რომ დელეგაციის თავმჯდომარეთ სახალხო გვარდიის თავმჯდომარის ამხანაგი ა. ჭიაბრიშვილი აირჩიონ.

## ბათომის ოლქის მრეწველობა

სამთო სამმართველოს უფროსი ინჟინერი ყიფშიძე, რომელიც გამგზავრებული იყო ბათომში და რომელმაც სამთო-სამმართველოს წარმოებანი და მაღაროები დაათვალიერა, თფილისში დაბრუნდა. მთავარი ყურადღება ყიფშიძემ სიმენსის თუჯის სადნობ ქარხანას მიაქცია. მაღაროების მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია. შეკეთებისა და პირველ ხანებში მუშაობის საწარმოებლად საჭიროა მთავრობის დახმარება ფულით. ამ შემთხვევაში, ე. ი. თუ მთავრობა ქარხანას დახმარებას აღმოუჩენს, რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ქარხნიდან შესაძლებელი იქნება 7000 ფუთი სპილენძის მიღება. სხვათა შორის, ყიფშიძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ქარხანას გულმოდგინეთ იცავენ. ყიფშიძის ბათომში ყოფნის დროს იქ კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულა სიმენსის წარმომადგენელი, რომელსაც უთქვამს: კონსტანტინოპოლში ხმებია გავრცელებული, თითქოს ბათომში და მის ოლქში უწესოებაა და ბოლშევიკების და მენშევიკებს შორის ომი სწარმოებდესო. დავრწმუნდი რა ამ ცნობების სიყალბეში, უთქვამს სიმენსის წარმომადგენელს, მე როგორც კი ჩავალ კონსტანტინოპოლში, ვაცნობებ საზოგადოებას, თუ როგორი მშვენიერი წესრიგი არის დამყარებული ბათომში. დასასრულ ყიფშიძემ აღნიშნა, რომ ბათომისა და მასთან ერთად ართვინის ოლქის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გზები და ხიდები ბათომიდან ართვინამდის შეკეთებულია. ხალხი საქართველოს მთავრობას სრული ნდობით უცქერის.

(სდს).

## თფ. გუბერ. შრომის კომისარიატის მოქმედება

თფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა შრომის სამინისტროს მოხსენება წარუდგინა, რომელიც 1920 წ. პირველ ნახევარის მის მოქმედებას ეხება. თავის ანგარიშში შრომის კომისარი აღნიშნავს, რომ მეტი ნაწილი კონფლიქტებისა სატარიფო პალატის დადგენილებათა დარღვევას ეხება. სახელდობრ, 482 საქმიდან—226 სწორედ სატარიფო დადგენილების დარღვევის გამო შემდგარა. დადგენილების დამრღვევი უმთავრესად სახელოსნოების, ან სხვა წარმოების და ან სახლის მეპატრონენი ყოფილან. ამ 226 საქმიდან 130 უკვე მოწესრიგებულია, 13 დაუსაბუთებლობის გამო უარი ეთქვა, 33 მომრიგებელ კამერას გადაეცა, და მხოლოდ 7 საქმე დარჩა გასარჩევი. მეორე ადგილი უკავია იმ საქმეებს, რომლებიც 1918 წლის იანვრის პირველის დეკრეტის დარღვევის გამო შემდგარა. ამ საქმეების უდიდესი ნაწილი უკვე მოწესრიგებულია, ნაწილი მომრიგებელ კამერას გადაეცა, ნაწილი კი სასამართლოს. შენიშნულია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მწარმოებლები არღვევდნენ მუშათა დაზღვევის კანონს. ამ საკითხის რადიკალურად გადასაწყვეტად საჭიროა კანონების გადასინჯვა და ახალის გამოცემა. შრომის კომისარიატმა ფაბრიკა-ქარხნებში სანიტარულ ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ამ მიზნისათვის კომისარიატმა მიიღო მთელი რიგი ზომებისა. ამისთვის დაინიშნა საექიმო-სასანიტარო კომისიები. კომისარიატმა დაათვალიერა აგრეთვე ტფილისში არსებული ყველა სამრეწველო, სტამბა, ლიტოგრაფია და სხვა დაწესებულებანი. ამასთანავე მიღებულ იქნა ზომები, რათა თამბაქოს ქარხნები ცეცხლისაგან უზრუნველყოფილი გაეხადათ. ამ მიზნით კომისარიატმა მიიღო მთელი რიგი ზომებისა. ამ ზომების განხორციელება დაევალა მწარმოებლებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ფაბრიკა-ქარხნები სულ 192-ჯერ დაუთვალიერებიათ. დასასრულ შრომის კომისარი აღნიშნავს სატარიფო პალატის სასწრაფო ლეგალიზაციისა და შრომის სასამართლოების შესახებ კანონების გამოცემის საჭიროებას. (სდს).

### ბერტ დარბაზოვი.

ამ თორმეტი წლის წინად ბოროტმა ელემენტებმა იმსხვერპლეს მუშათა წრეებში კარგად ცნობილი ამხ. ბერტ დარბაზოვი. მან პარტიაში მუშაობა დაიწყო 1901 წელს: მუშაობდა დაუღალავად, იმ შავბნელი რეაქციის დროს, 1908 წლამდე. ამ წელში კი ბერტი ერთბაშად, უგზო უკვლოდ, დაიკარგა. ამხანაგებმა დაუწყეს მას ძებნა და ბევრი ძებნის შემდეგ გამოირკვა შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი: ღამით ბოროტმოქმედნი მისულიყვნენ დარბაზოვთან, გაეტაცნათ ნავთლუღისკენ, შემდეგ ყელში თოკი ჩაებათ, დაეხრჩოთ და მტკვარში ჩაეგდოთ. ასეთი აღმაშფოთებელი მკვლელობა მოახდინა ერთმა ჯგუფმა ავლაბრის ნაძირალებისამ, რომელთანაც განსვენებულ ამხ. დარბაზოვს მუდამ ჰქონდა ბრძოლა და მკვლელობაც მოხდა ამ ნიადაგზე.

კვირას, 8 აგვისტოს, დილის 10 საათზე ამხ. დარბაზოვის ხსოვნის აღსანიშნავად ძველი მისი ამხანაგების მიერ გამართული იქნება სამოქალაქო პანაშვიდი წმ. ბარბარეს ეკლესიის გალავანში, სადაც დასაფლავებულია ამხ. ბერტ დარბაზოვი. ამისათვის პანაშვიდის მომწყობი კომისია სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ სამოქალაქო პანაშვიდს და გაიხსენონ ვერაგულად დაღუპული ამხანაგი.

X.

## დამფუძნებელი კრება

4 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**გრ. გიორგაძის** მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი თავდაცვის ფონდისათვის 400 მილ. მანეთის გადადებისა.

**განგრძობა მსჯელობის 1919—1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.**

**ასათიანი.** (ორატორი განაგრძობს წინა სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას). საგარეო ვაჭრობამ საგრძნობი ზარალი მისცა სახელმწიფოს. გამოცხადდა მონოპოლია, რომლითაც ვცდილობდით აგვეწია ვალიუტა, რაც ცხოვრებამ არ გაამართლა. თამბაქოს კულტურა დაეცა. მისი მოუვლელობით სახელმწიფომ რამდენიმე მილიარდი მანეთის ზარალი ნახა. მხოლოდ მარგანეცის მონოპოლიის საქმე არის კარგად დაყენებული შედარებით და ამის მიზეზი არის ის, რომ მარგანეცის მონოპოლია ხორციელდება. მწარმოებლებთან შეთანხმებით. უკვე გატანილია საზღვარ გარეთ $5^1/_2$ მილ. ფუთი მარგანეცი და ფუთში მთავრობა იღებს 36 მანეთს. ფრახტისას იხდიან 7 მან ნავთსადგურის, ქალაქის საფუთო გადასახადი და სხვა, შემოსავალს აღევენ ჩვენ ქვეყანას, უცხოეთის ვალიუტა სწორედ მარგანეცის მონოპოლიამ შეგვძინა. შემდეგ ამისა ორატორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი წრეები გაიძახიან მწარმოებლებს დიდი მოგება რჩებათო და სურთ მარგანეცის საქმეც ისე დაღუპონ, როგორც თამბაქოსი. მართალია, ყველა ქვეყნებში საერთო პირობების გამო ბიუჯეტი დეფიციტიანი არის, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ იქაური დეფიციტი პირდაპირ საბიუჯეტოა, იქ ცდილობენ ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას, ჩვენში კი არა. 1918 წელს სავაჭრო ბალანსი სწორი იყო. თითქმის იმდენივე იქნა გატანილი საქონელი, რამდენიც შემოვიდა. და ამიტომაც ფულის კურსი ერთ დონეზე იდგა თითქმის 1919 წელს კი შემოვიტანეთ 763 მილ. ღირებული საქონელი, გავიტანეთ 393 მილ. 1920 წელ. პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე 786 მილ. ღირებულების საქონელი მეტი არის შემოტანილი, ვიდრე გატანილი. ეს კი იწვევს ფულის კურსის დაცემას. შემდეგ ამისა ორატორი, ეხება რა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს აღნიშნავს, რომ იმის მოქმედებაში ბევრი დეფექტი იყოვო.

**მომარაგების მინისტრის ამხანაგის სიტყვა.**

**ივ. ჭავჭანიძე.** მოქალაქენო! დამფუძნებელ კრების ოპოზიციამ, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან, წარმოდგენილ ბიუჯეტის გამო გამართულ საერთო კამათში მომარაგების სამინისტროსაც სწვდა. მარჯვნიდან შემოგვიტია პატივცემულმა სპირიდონ კედიამ და სხვა ახალ ბრალდებებთან, გაიმეორა ერთი ძველი ბრალდება, რომელიც მე ამ ტრიბუნიდან ორჯერ გავაბათილე. იგი ერთხელ კიდევ შეეცადა დაემტკიცებია, რომ თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადებამ და მომარაგების სამინისტროს მიერ ამ მონოპოლიის უხეიროთ ცხოვრებაში გატარებამ შეამცირა თამბაქოს კულტურა და დაღუპა თამბაქოს საქმე. მე ხელთა მაქვს სტატისტიკური ცნობები, რომლებიც სრულიად აბათილებენ ბ-ნ კედიას მიერ გამეორებულ ბრალებას: აი, რას მოგვითხრობენ ციფრები. თამბაქოს მოსავალი ყოფილა:

| | | |
|---|---|---|
| 1912 წელში | . . 408.589 | ფუთი. |
| 1913 „ | . . 442.830 | „ |
| 1914 „ | . . 602.270 | „ |
| 1915 „ | . . 425.400 | „ |
| 1916 „ | . . 480.000 | „ |
| 1917 „ | . . 422.000 | „ |
| 1918 „ | . . 60.000 | „ |
| 1919 „ | . . 100.000 | „ |

ზემომოყვანილი ციფრები მოგვითხრობენ, რომ უდიდესი მოსავალი 1914 წ.; მას შემდეგ თამბაქოს მოსავალი თანდან კლებულობს და 1918 წ. ჩამოდის 60.000 ფუთამდე. თამბაქოს მონოპოლია გამოცხადა 1919 წლის შემოდგომაზე; მანამდე არც მონოპოლია იყო და არც მომარაგების სამინისტრო, ხოლო თამბ ქოს კულტურა კი თანდათან მცირდებოდა. ჩვენ არ გვაქვს დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი თამბაქო დაითესა წელს სოხუმის ოლქში, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ წლევანდელი ნათესი გაცილებით მეტ თამბაქოს მოგვცემს, ვინემ უკანასკნელმა სამმა წელმა მოგვცა. ჩვენ ერთი—კოდორის რაიონიდან მივიღეთ ცნობა ნათესის რაოდენობის შესახებ; წელს ამ რაიონს კოდორის ერობის ცნობით დაუთესია 1000 დესიატინა. საშუალოთ დესიატინა იძლევა 55 ფ. თამბაქოს; ამ ანგარიშით მარტო კოდორის რაიონი მოგვცემს 55.000 ფუთ თამბაქოს. ყველა რაიონებზე მეტ მოსავალს იძლეოდენ გუმისტინის და გუდაუთის რაიონები.

ამ რაიონების მოსავალი ალბათ არც წელს იქნება კოდორისაზე ნაკლები. სტატისტიკურ კომიტეტსაც მოუხდინია გამოკვლევა; ამ უკანასკნელის ცნობებით მიმდინარე წლის ნათესები მოგვცემს დაახლოვებით 270.000 ფუთ თამბაქოს. მონოპოლიის საკითხს შეეხო ბ-ნი ასათიანიც; მან, როგორც ყოველთვის ახლაც გაილაშქრა ძველი ბრალდებებით მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ. მისი აზრით მხოლოდ მარგანეცის მონოპოლიაა წესიერათ დაყენებული და თან ყალბი ცნობებიც ამოალაგა. მისი განცხადებით სამი მეოთხედი უცხო ვალიუტის მომარაგების სამინისტროს შემოდის მარგანეციდან. მანვე განაცხადა რომ მომარაგების სამინისტროს დღემდე მარგანეცის მრეწველთაგან მიუღია 37500 გირ. სტერლიგამდე. ეგ ციფრი მართალია, მაგრამ იგი არ შეადგენს სამ მეოთხედს იმ უცხო ვალიუტისა, რომელიც მომარაგების სამინისტროს შესვლია ოპერაციების საწარმოებლათ. მარტო ორ გემ ხორბალში მივეცით 187.000 გირ. სტერლინგი; 37.500 გირ. სტერლინგი კი ამ თანხის ერთ მეოთხედსაც არ შეადგენს. ბ-ნმა ასათიანმა ჩვენი იმპორტ-ექსპორტის შესახებაც ყალბი ცნობები მოგაწოდათ. მან შეუმოწმებლათ ისარგებლა მთავარ საბაჟოს ცნობებით და მოგახსენათ, რომ თითქო ჩვენ 1919 წლის განმავლობაში შემოგვიტანია 863 მილიონის საქონელი, გაგვიტანია კი მხოლოდ 393 მილიონის. მთავარ საბაჟოში შემოტანილი და გატანილი საქონლის აღრიცხვა ფუთობით ხდება, რაც შეეხება მათი ღირებულების გამოანგარიშებას, ეს ძალიან ძნელია დღევანდელ პირობებში საბაჟოს მოხელისათვის, რადგან დღეს ფასები საათობით იცვლება. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო საბაჟოს ცნობებით სარგებლობის დროს. რომ ბ ნ ასათიანის მიერ მოყვანილი ცნობები შემცდარია, ამას ნათლათ მოწმობს შემდეგი: შვიდი თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში გასულა მარტო თამბაქო და მარგანეცი 1.005.792 გირვანქა სტერლინგათ ღირებული. სტერლინგის კურსი რომ 1200 მანეთი ვიანგარიშოთ და არა დღევანდელი 2500—3000 მანეთი, მივიღებთ, რომ ჩვენ გაგვიტანია ერთი მილიარდ ორას მილიონ მანეთზე მეტათ ღირებული თამბაქო და მარგანეცი. კიდევ მოგახსენებთ, ბატონებო, უტყუარ ცნობებს: მიმდინარე წლის მარტო ივნისში ისეთი საქონელი, რომელიც მომარაგების სამინისტროს კონტროლს ექვემდებარება, გაუტანიათ 368.016 650 მანეთის. აქ არ შედის ივნისში გატანილი მარგანეცი და აგრეთვე ყველა ის საქონელი, რომლის გატანა თავისუფალია. თუ ინებებს ბ-ნი ასათიანი, მობრძანდეს ჩემთან სამინისტროში და დარწმუნდება, რომ ეგ ციფრები მათემატიკურის სისწორით არის გამოანგარიშებული.

ბ-ნ ასათიანს საწყენათ დარჩენია ისიც, რომ მომარაგების სამინისტრომ მარგანეცის ექსპორტიორებს ნაცვლად წინანდელი 25%-ისა მოსთხოვა 35% წმინდა მოგებისა და მთელი წმინდა მოგება გატანილ მარგანეცის 10%-ისა.

— თქვენი უბედურება იმაშია, რომ თქვენ გწყინთ ექსპორტიორების დიდი მოგებაო,—განაცხადა ბ-ნმა ასათიანმა. მე ვეკითხები ბ-ნ ასათიანს: თვითონ ის რათ სწუხს მთავრობის მიერ მეტის მიღებას? რაც სახელმწიფოს ხაზინაში შევა, იგი ეკუთვნის მთელ ერს და მათ შორის იმ მუშებსაც, რომლებმაც დაამუშავეს ეგ მარგანეცი, ხოლო რაც კერძო ექსპორტიორის ჯიბეში ჩავა, ის კი კერძო პირს ეკუთნის. მომარაგების სამინისტროს მოთხოვნილებას დიდათ არ შეუწუხებია მარგანეცის მრეწველები და კიდეც მიიღეს იგი; სწუხს მხოლოდ ბ-ნი ასათიანი.

ახლა დაუბრუნდეთ ისევ ბ-ნ კედიას ბრალდებებს. ბ-ნმა კედიამ გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ბიუჯეტში არ არის შეტანილი მომარაგების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. იგი აღშფოთებულია აგრეთვე იმით, რომ მომარაგების სამინისტროს მოხელეებს დიდი ჯამაგირები ქონიათ. განვიხილოთ, ბატონებო, ეგ ბრალდებები.

მომარაგების სამინისტროს დაარსებისას ჩვენ ქვეყანას სიმშილის აჩრდილი დასტრიალებდა თავს. თქვენ იცით, რომ შარშანდელი წელიწადი მეტად მოუსავლიანი წელი იყო—ყოველ წლიურ ჩვეულებრივ მოსავლის ერთი მესამედიც კი არ მოსულა. ამას ისიც თან ერთოდა, რომ მაშინ კიდევ ერთგვარ ძალის მქონე მოხალისეთა ჯარის ფლოტის ყაჩაღობა, შავ ზღვაზე და ჩვენს ნავთსადგურებისაკენ არას უშვებდა. მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო.

დეკემბერში და იანვარში ყოველ დღე მოველოდით სიმშილობის დაწყებას; იყო ისეთი წუთები, როდესაც ჩვენს საწყობებში ერთი მარცვალი ხორბალი ან ერთი გირვანქა ფქვილიც კი არ მოიძებნებოდა; დღეს რომ გავსცემდით ფქვილს ჯარისთვის და გვარდიისთვის სახვალიოთ პურის გამოსაცხობათ, ზეგისათვის არა გვირჩებოდა რა.

ასეთი იყო, ბატონებო, ჩვენი მდგომარეობა და ამის შესახებ ხმა მაღლა ლაპარაკიც კი არ შეგვეძლო, რომ პანიკა არ გამოგვეწვია და ისედაც უკიდურესობამდე გამწვავებული მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაგვემწვავებინა. და ასეთ პირობებში მომუშავე მომარაგების სამინისტროს განა შეეძლო შტატების შედგენაზე, ან მომავლის ფართე გეგმებზე ზრუნვა?!

ჩვენის ღრმა რწმენით ამ დროს საჭირო იყო თავგამოდებითი და დაუღალავი მუშაობა პურის შეძენის საქმეზე და არა შტატების და გეგმების თხზა. ჩვენც სწორეთ აგრე მოვიქეცით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანამ შტატები და გეგმები იქნებოდა გამზადებული, მეფე შიმშილი მთელი თავისი საშინელებით შემოიჭრებოდა ჩვენს ნორჩ რესპუბლიკის საზღვრებში, და მაშინ ჩვენს წინ წამოიჭრებოდა არა შტატების საკითხი, არამედ საკითხი ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის, ჩვენთვის ეგ უკანასკნელი, ე. ი. ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, უფრო დიდი საკითხი იყო და არის, ვინემ ქაღალდზე ლამაზად შედგენილი შტატები და მოხდენილათ დაწერილი გეგმები. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვემზგავსეთ ცნობილ არქიმედს; თქვენ ალბად მოგეხსენებათ, რომ არქიმედმა მის სამუშაო კაბინეტში შეჭრილ რომაელ ჯარისკაცებს, რომელნიც მის სიცოცხლეს ეძებდენ, გულუბრყვილოთ შესძახა: „ჩემს წრეებს არ ახლოთ ხელიო!“ არქიმედის თავს ზევით აღმართული იყო გამხეცებულ ჯარისკაცის ხმალი, ხოლო არქიმედი კი ამ დროს თავის წრეებზე და მათემატიკურ ფორმულებზე ზრუნავდა. როგორ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ბატონებო, ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენ, მზგავსათ არქიმედისა კარზე მომდგარ შიმშილის წინ შტატებზე და გეგმებზე გვეზრუნვა და პურის შოვნის საქმე კი მიგვევიწყებია? დამეთანხმებით, რომ მეფე სიმშილი რომაელ ჯარისკაცზე უფრო სასტიკი და ულმობელი რამ არის და მის წინააღმდეგ ქაღალდზე დაწერილ შტატებით ვერას გავხდებოდით. ამიტომ პირველ ხანებში ჩვენც თავი გავანებეთ შტატებზე ზრუნვას და მთელი ენერგია პურის შოვნისაკენ მივმართეთ. შევსძელით თუ არა ამ მხრივ რაიმე საგრძნობის გაკეთება, ეს თქვენც მოგეხსენებათ, ყოველ შემთხვევაში ფაქტია ის, რომ ეპიდემიური შიმშილი თავიდან ავიცილეთ და ახლა ის საშინელი სასურსათო კრიზისი, რომელიც შიშის ჟრუანტელს გვგვრიდა, უკვე განვლილია.

აი, ბატონებო, ჩვენი დანაშაული და თუ თქვენ ინებებთ ამისთვის დამნაშავის სკამზე დაგვსვათ, იყვეს ნება თქვენი,—ჩვენ პირუთვნელ სამსჯავროს არ გავექცევით.

მაგრამ, ბატონებო, ესეც რომ არ იყოს, მაშინაც არ ჩაეთვლებოდა ჩვენს მთავრობას და მომარაგების სამინისტროს დანაშაულათ ის, რომ იმ ხარჯთაღრიცხვაში, რომელსაც თქვენ ახლა იხილავთ, ვერ შევიდა მომარაგების სამინისტროს შტატები და ხარჯთაღრიცხვა. თქვენ ახლა არჩევთ 1919—20 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვას და ისიც მხოლოდ 1919 წლის 31 დეკემბრამდე, ე. ი. მხოლოდ შვიდი თვის ხარჯთ-აღრიცხვას. მომარაგების სამინისტრო დაარსდა 1919 წლის ნოემბერში, მან მოქმედება დაიწყო 20 ნოემბრიდან. ის ხარჯთ-აღრიცხვა კი, რომელსაც თქვენ ახლა არჩევთ, შემოტანილ იქნა მთავრობის მიერ დამფუძნებელ კრებაში გაცილებით უფრო ადრე. აშკარაა, რომ წამოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვაში ვერ შევიდოდა იმ დროს არ არსებული სამინისტროს შტატები და ხარჯები. მართალია, შეიძლებოდა, რომ ზევით აღწერილი მდგომარეობა არ ყოფილიყო, დამატებით შემოტანა ამ ხარჯთ აღრიცხვის, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ ერთი თვის და ათი დღის ხარჯთ-აღრიცხვა, რადგან გასულ 1919 წელში, რომლის ხარჯთ-აღრიცხვას ახლა თქვენ არჩევთ, მომარაგების სამინისტრომ სულ ეს ერთი თვე და ათი დღე იარსება; და განა ღირდა ხარჯთ-აღრიცხვის ამ ერთი ნაკუწის ცალკე წარმოდგენა?!. ჩვენ შევეძლო, მას შემდეგ, რაც ჩვენი სასურსათო საქმე გამოკეთდა, შევადგინა გასული საბიუჯეტო წლის მთელი ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ ამ დროს კარს მოგვადგა 1920—21 საბიუჯეტო წელი, და ჩვენ ვარჩიეთ უწინ ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა შეგვედგინა, რომ დროზე წარგვედგინა იგი ფინანსთა სამინისტროსთვის და საშუალება მიგვეცა მისთვის დროზე დაესრულებია მთელი რესპუბლიკის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. ჩვენ ეგ ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შევადგინეთ და წარვუდგინეთ ფინანსთა სამინისტროს,—ერთი ცალი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარესაც გავგზავნა. გასულ საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვას კი ეხლა ვამუშავებთ და ამ თვის დამლევამდე ისიც მზად იქნება.

როგორც ხედავთ, ჩვენ არ გავურბივართ ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენას.

ახლა მოგახსენებთ ჯამაგირების შესახებ. მართალი გახლავთ ის, რომ მომარაგების სამინისტროში მოხელენი მეტ ჯამაგირს იღებენ, ვინემ სხვა სამინისტროებში, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ სამინისტროში მოხელეები მეტს მუშაობენ. თქვენ იცით—თუ რა მძიმე სასურსათო კრიზისი გადავიტანეთ; საჭირო იყო დიდი მუშაობა, რომ თავი დაგვეხწია შიმშილისაგან. მომარაგების სამინისტროში მუშაობა იყო და არის როგორც დილაობით, ისე საღამოობითაც, მუშაობა არის აგრეთვე კვირა-უქმე დღეებშიც, და ეს ხდება იმისთვის, რომ პური ჩვენი არსებისა კვირა-უქმე დღეებშიც ისე ესაჭიროება პატივცემულ სპირიდონის კუჭს, როგორც ორშაბათს და სამშაბათს. სხვა სამინისტროებში თვის განმავლობაში საშუალოთ 25 სამუშაო დღეა, მომარაგების სამინისტროში კი 60 სამუშაო დღე; და აბა რა სამართალი იქნებოდა, რომ ერთნაირი ჯამაგირი მიგვეცა, როგორც იმისთვის, ვინც თვეში 25 დღეს მუშაობს, ისე იმისთვის ვინც 60 დღეს მუშაობს?!. ამიტომ ჩვენს სამინისტროში მოხელე ორმაგ ჯამაგირს იღებს. მაგრამ შეიძლება ის აღშფოთებს ბ-ნ სპირიდონს, რომ ორიოდე მოხელე ორმაგ ჯამაგირებზე მეტს იღებს. დიახ, ასეთებიც არის ბარე თერთმეტ კაცამდე. ბატონებო! მომარაგების სამინისტრო

კომერციული დაწესებულებაა. ამ სამინისტროში არის ისეთი ადგილები, რომელზედაც ყველა მოხელე არ გამოდგება. აქ საჭიროა არა მარტო ჩინოვნიკური გამოცდილება, არამედ აგრეთვე კომერციული უნარი და ინიციატივა. იგი უნდა იყვეს არა მარტო აღმასრულებელი ამა თუ იმ ბრძანებისა, არამედ შემოქმედიც. თქვენ მოგეხსენებათ, რომ კომერციული ბანკი კარგ ფინანსისტს ან კარგ ბუღალტერს ჯამაგირზე ლაპარაკს და ვაჭრობას არ დაუწყებს. კომერციის ხალხმა იციან, რომ კარგი თანამშრომელი, რა დიდი ჯამაგირიც არ უნდა მისცენ მას, ათჯერ და ოცჯერ გამოიყიდის მასზე გაწეულ ხარჯებს. ჩვენ ექვსი თვე ვეძიეთ გამოცდილი ბუღალტერი და დიდის გაჭირვებით მივაკვლიეთ ერთს: მაგრამ იგი ადგილზე იყო და თვეში 25.000 მანეთს იღებდა, ჩვენს სამინისტროებში შტატით ბუღალტერისთვის 6.500 მანეთია დაწესებული. დამეთანხმებით, რომ ჩვენ მიერ მონახული ბუხგალტერი თავის 25.000 მანეთიან ჯამაგირს არ გასცვლიდა 6,500 მანეთზე: ჩვენც ორში ერთი გზა უნდა აგვერჩია: ან ხელი უნდა აგველო კარგი და გამოცდილ ბუღალტერის მოწვევაზე, ან 25.000 მანეთი მიგვეცა; ჩვენ უკანასკნელი გზა ავირჩიეთ. სხვანაირათ მოქცევა ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან ჩვენს სამინისტროს წლიურათ რამდენიმე მილიარდის ოპერაციები ექნება. ასეთ სამინისტროს ბუღალტერია თუ სამაგალითოთ და უნაკლოთ არ იქნა დაყენებული, საქმე აირევა და სახელმწიფო გაცილებით უფრო მეტ ზარალს ნახავს, წინემ ზედმეტი ჯამაგირის გაღებით კარგ ბუღალტერზე.

ასევე მოვიქეცით ჩვენ ზოგიერთ მოანგარიშეების მოწვევის დროსაც. ჩვენს სამინისტროს, ბუღალტერიის გარდა, აქვს კიდევ ისეთი საქმეები, რომლებისთვისაც სპეციალისტებია საჭირო. ასეთ სპეციალისტებს შტატით დაწესებულ ჯამაგირებით მოხელეთ ვერ შეიტყუებთ და იძულებული გახდებით დამატებითი ჯამაგირები დაუნიშნოთ.

ასეთია, ბატონებო, საქმის ნამდვილი ვითარება, და თუ თქვენ ამ ვითარებას გაითვალისწინებთ, დამერწმუნებით, რომ ბ-ნი სპირიდონის აღშფოთება სრულიად უსაფუძლოა.

დასასრულ თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ერთ გარემოებას; იშვიათი შემთხვევა, რომ ჩვენი ოპოზიციის ორატორები ობიექტივობას იჩენდენ მთავრობის მოღვაწეობის დაფასებაში. უფრო ხშირათ ისინი ცდილობენ ტენდენციურათ შერჩეული დეფექტებით გავიდენ ფონს. აბა ვინ არ იცის, რომ დღევანდელ პირობებში უდეფექტოთ მუშაობა პირდაპირ შეუძლებელია? ჩვენი ოპოზიციის ორატორები კი ამ უმნიშვნელო დეფექტებს მოათრევენ ყურით ამ ტრიბუნაზე და ცდილობენ მთელ ქვეყანას დაუმტკიცონ ჩვენი მთავრობის უვარგისობა. ამავე დროს ერთ კრინტსაც კი არ დასძრავენ ამ მთავრობის დადებით მხარეებზე. სწორეთ ასე მოიქცა ბ-ონი სპირიდონ კედიაც, როდესაც ცეცხლსა და მეხს აფრქვევდა მომარაგების სამინისტროს არა ერთხელ გაბათილებულ ბრალდებების წამოყენებით. მე კი მგონია, რომ დეპუტატს, რომელიც ამ ტრიბუნაზე გამოდის, პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ავალებდეს მინიმალური ობიექტივობა მაინც გამოიჩინოს. ბ-ონ სპირიდონს რომ ეს ობიექტივობა გამოეჩინა, იგი ამ ტრიბუნიდან აღნიშნავდა რა ქაპან-წყვეტით და უმაგალითო შრომით შესძლო მომარაგების სამინისტრომ ერთ მილიონამდე ფუთი ხორბლეულობის დამზადება, რითაც ქვეყანა შიმშილისა და სიძვირის ნიადაგზე მოსალოდნელ საშინელ ანარქიისაგან გადაარჩინა; იგი აღნიშნავდა იმასაც, რომ მომარაგების სამინისტრომ დიდძალი მანუფაქტურა მიაწოდა ხალხს, დაამზადა ჯარისთვის რამდენიმე ასი მილიონის ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი; აღნიშნავდა აგრეთვე მომარაგების სამინისტროს მიერ მოწყობილ წინაწლების პარკის რეალიზაციის საქმეს, რომელსაც, ბ-ნი სპირიდონი, რამდენიც არ უნდა ეცადოს, ნაკლს ვერ მოუნახავს; აღნიშნავდა მრავალ სხვა მომარაგების სამინისტროს მიერ გაკეთებულ და მოგვარებულ საქმეებს.

მაგრამ შეიძლება ყველა ეს არც კი იცოდეს ბ-ნმა კედიამ? მით უარესი, თუ ეს ასეა. განა დასაშვებია, რომ დეპუტატი ტრიბუნიდან კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდეს სამინისტროს მოღვაწეობას და იმავე დროს დაწვრილებით არ იცნობდეს ამ სამინისტროს ავსა და კარგს?!. ეს არ არის დასაშვები, ეგ არ შეეფერება დეპუტატის ღირსებას.

ობიექტივობის ნასახი ვერ გამოიჩინეს აგრეთვე ვერც თედო ღლონტმა და ვერც ივანე ლორთქიფანიძემ. ეს დეპუტატებიც მხოლოდ დეფექტებს ჰქექდენ, ხოლო თუ რამ კარგი და მიზანშეწონილი გააკეთა საქართველოს მთავრობამ, იმის შესახებ არა სთქვეს რა. ბ-ნი ლორთქიფანიძე ეკონომიურ პოლიტიკის უვარგისობას უკიჟინებს საქართველოს მთავრობას და საბუთათ მიუთითებს, ჩვენი ბონების კურსზე. ბ. ლორთქიფანიძეს, რომ ცოტა შრომა გაეწია და ჩვენი ბონების კურსი შეედარებია ჩვენი მეზობელ რესპუბლიკების ფულის კურსთან, დარწმუნდებოდა, რომ ჩვენი ბონების კურსის საქმე გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვინემ მას წარმოუდგენია. განა მარტო ჩვენი ბონების კურსი ეცემა? განა მტკიცეთ სდგას ფულის კურსი ისეთ ბუმბერაზ სახელმწიფოების, როგორიც არიან ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვა ძველი სახელმწიფონი? განა კატასტროფიულ ხასიათს არ იღებს ფრანკის და ლირის კურსის დაცემა? დაეცა დოლარებთან შედარებით სტერლინგის კურსიც. აშკარაა, რომ ფულის კურსის ასეთი საერთო დაცემა ობიექტიური პირობების და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენის ბრალია და არა საქართველოს მთავრობის.

ბატონი ღლონტი, რომელსაც ეკონომიურ მეცნიერების დიდ მცოდნეთ მოაქვს თავი, ახირებულ რეცეპტს გვაწვდის ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ. იგი ავტორიტეტულათ ურჩევს ჩვენს მთავრობას თავის ხელში აიღოს როგორც მთელი ვაჭრობა, ისე წარმოებაც, ე. ი. მოახდინოს ვაჭრობისა და წარმოების ნაციონალიზაცია; მარტივათ რომ ვსთქვათ, ბ-ნი თედო გვირჩევს დავადგეთ მის სათაყვანებელ კომუნისტების გზას. მაგრამ განა ამ გზამ არ მიიყვანა უმდიდრესი რუსეთი სრულ ეკონომიურ განადგურებამდე? განა საბჭოთა რუსეთის ფულის კურსი ოთხჯერ დ ხუთჯერ უფრო დაცემული არ არის, ვინემ ჩვენი ბონის კურსი? არა ბატონებო! საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა თედო ღლონტის მიერ ნაჩვენებ გზას ვერ გაჰყვება, რადგან მათ კარგათ იციან, რომ ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც ორი ფაბრიკა და ქარხანა არ მოიძებნება, რა შეიძლება დეკრეტებით სოციალიზმის დამყარება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს დემოკრატია მისი მთავრობის სახით არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს ვაჭრობა-მრეწველობისა და წარმოების საქმეში. თქვენის დასტურით და მოწონებით მთავრობა მომარაგების სამინისტროს საშუალებით აქტიურ მონაწილეობას იღებს როგორც ჩვენი ნედლი მასალების ექსპორტში, ისე უცხოეთის ფაბრიკატების იმპორტში. მომარაგების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე ხანში დიდძალი პირველ მოთხოვნილების საგნები პირველ ხელიდან შეიძინოს უცხოეთის ბაზარზე და შემოიტანოს ჩვენში.

მომარაგების სამინისტრო თანდათან წარმოების საქმეშიც ებმება; მან შეიძინა წისქვილი, რომელსაც სამი დესეტინა მამული აკრავს, გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს უცხოეთში ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილების თანახმათ მოწყობილი ვალცებიანი წისქვილი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ადგილობრივ ხორბლიდან პირველი ხარისხის თეთრი ფქვილი მივიღოთ. ამის გარდა სამინისტროს განზრახვა აქვს დაიწყოს ჭიათურაში მარგანეცის საკუთარი წარმოება. ამავე დროს მთავრობა დიდ დახმარებას უწევს ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ერობებს და ქალაქებს სხვადასხვა საწარმოვო დაწესებულებების მოწყობის საქმეში, და თქვენც მთავრობის წინადადებითა და შუამდგომლობით არა ერთი და ორი საწარმოო სესხი მიგიციათ ქალაქთა და ერობათათვის.

როგორც ხედავთ ჩვენ ჯერ არ ვსპობთ კერძო წარმოებას, მაგრამ ამ უკანასკნელის გვერდით ვაჩაღებთ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წარმოებას. ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობა და წარმოება ჯერ კიდევ ახალჩასახულია; მას ჯერ კიდევ შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს, და ჩვენ კი შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ მისგან წარმოების მოწყობისა და გაძღოლის საქმეში. ხოლო მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმი თავის ისტორიულ მისიას შეასრულებს, რაც იგი ერთის მხრივ ამოსწურავს თავის თავს, და მეორეს მხრივ სამარისათ მომამზადებს თავის მესაფლავე მემკვიდრეს, მაშინ ჩვენ არც სოციალისტური გარდაქმნის წინაშე შევსდგებით. ამისი საიმედო თავდები გახლავთ საქართველოს სოციალისტური საკანონმდებლო ორგანო და მისი სოციალისტური მთავრობა. (ტაში).

**თედო ღლონტი.** ამ ბიუჯეტის განხილვის დროს ჩვენ გვაინტერესებდა ჩვენი ქვეყნის მომავალი საეკონომიო და საფინანსო გეგმა, პერსპექტივები იმიტომ, რომ ამით უნდა შეგვექმნა ისეთი გეზი, რომელიც ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ეს იყო მიზეზი როდესაც ამ ბიუჯეტს კრიტიკულის თვალით შევხედეთ და აღვნიშნეთ მისი ნაკლი. როგორც პირველ სიტყვაში აღვნიშნეთ, ეს ბიუჯეტი დამყარებულია პარაზიტულ სისტემაზე. ორატორი აღნიშნავს, რომ მას ის აზრი არ გამოუთქვამს სრულიად ხელი უნდა უნდა ავიღოთ კერძო ინიციატივაზე, როდესაც კერძო ინიციატივის ალაგმვის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ იმ ელემენტებს, რომელთა ხელშია წარმოების ტეხნიკური აპარატი და ეს აპარატი სახელმწიფოს საჭიროებას და ინტერესებს არ ემსახურება, თუ კერძო მწარმოებელი შეუფარდებს თავის მოქმედებას სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ჩვენ მათი წინააღმდეგი არ ვიქნებით საქართველოში. არის ისეთი ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, რომლებიც აუცილებელ ჰყოფენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინიციატივის გაფართოებას და მასზე დამყარებას და სახელმწიფოს ფინანსების გაჯანსაღება სწორედ ამაზე არის დამყარებული. შემდეგ ამისა ორატორი აღნიშნავს, რომ მას არ უთქვამს თითქოს სულ უნდა მოისპოს გადასახადები, მაგრამ შემოსავლის უმთავრეს წყაროს გადასახადები არ უნდა შეადგენდეს. ორატორი ეხება რა კანტროლიორის როლს, აღნიშნავს, რომ კანტროლიორის მოხსენება ყოველთვის უნდა უსწრებდეს ბიუჯეტის განხილვას, რომ საშუალება მიეცეს დამფუძნებელ კრების წევრებს ისარგებლონ კანტროლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და სათანადოთ შეაფასონ ბიუჯეტი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ჩვენი ბიუჯეტი შეადარა ინგლისის, საფრანგეთის ბიუჯეტს: მაგრამ თუ ავიღებთ მაგალითისათვის კანადას, ავსტრიალიას, ინდოეთს, დავინახავთ, რომ ამ სახელმწიფოებს აქტიური ბალანსი აქვთ. ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ შეგვიძლიან აქტიური ბალანსი შევქნათ. ჩვენ შეგვიძლიან აუარებელი საქონელი მივაწოდოთ სპარსეთს, რუსეთს და სხვა სახელმწიფოებს და ამით ჩვენი სავაჭრო ბალანსი თვალსაჩინოდ გავზარდოთ.

სხდომის დასასრულ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა თავდაცვის ფონდისათვის 400 მილ. მანეთის გადადების შესახებ.

## კოოპერატიული ცხოვრება

პარასკევს, 30 ივლისს მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში გაიმართა კოოპერატიული საღამო. ამხ. ალ. დევდარიანმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „კოოპერაციის მნიშვნელობა მუშებისათვის." ხალხი ბლომათ დაესწრო. ლექციას თან დაერთო ბუნდოვანი სურათები.

ლექტორმა მოკლეთ დაახასიათა დასავლეთ ევროპის მუშათა კოოპერაციის განვითარება; შემდეგ აუხსნა მსმენელებს კოოპერაციის როლი სოციალიზმის ნიადაგის მომზადებისათვის. მან ხაზი გაუსვა შემდეგ სამ თეზისს: 1) კოოპერაცია ამყარებს საზოგადოებრივ ნიადაგზე საქონლის წარმოების და განაწილების საქმეს; 2) კოოპერაცია ამზადებს მუშებს სამეურნეო ორგანიზაციების დამოუკიდებლათ გაძღოლისათვის; 3) ნაწილს საზოგადოებრივი თანხისას, რომელიც გროვდება კოოპერატივებში. კოოპერაცია ახმარებს მშრომელი მასის კულტურულ განვითარებას.

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქმნა „ცეკავშირის" მიერ გადაღებული ადერბეიჯანის ფრონტი.

დამსწრე.

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 2 აგვისტოს შესდგა კუკიის მცირე კოლექტივის მორიგი სხდომა. დღის წესრიგი: 1) მოხსენებები, 2) პარტიული მუშაობა, 3) მიმდინარე კითხვები.

კრება ისმენს მეორე რაიონიდან ს. ქიტიაშვილის მოხსენებას; შეკითხვების შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვებზე.

ცხარე კამათს იწვევს პარტიული მუშაობის შენელება. გამოირკვა, რომ ყველანი უკმაყოფილონი არიან ამით, დასახელებულ იქნა მთელი რიგი საშუალებებისა, რომლებიც გამოაცოცხლებს პარტიულ მუშაობას. დასახელებულ საშუალებათა განსახორციელებლად არჩეულ იქნა ოთხი კაცისაგან განსაკუთრებული კომისია, რომლის ვალდებულება არის დაიაროს კუკიის უბნის ყველა ქარხანა-დაწესებულებები, მოახდინოს იქ პარტიული კრებები, გააკეთონ მოხსენებები და წინადადება მისცენ ამხ. გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელი კოლექტივში; ამავე კომისიამ მუდმივი კავშირი უნდა იქონიოს ყველა ქარხანა-დაწესებულებაში.

კომისიაში შედიან: ს. ქიტიაშვილი, ც. დარახველიძე, ზ. ოქრუაშვილი, ი. ყანდაშვილი და ერთიც კანდიდატი— გ. გოზალოვი.

ლია.

**ხ. ხევი** (გურია). ივლისის 25 შედგა ხევის რაიონის კოლექტივის პარტიის წევრთა ყრილობა. დაესწრო წევრთა საკმაო რიცხვი. მოხსენება გააკეთა საქართველოს მეორე პარტიული ყრილობის დელეგატმა ამხ. ისიდორე ლომთათიძემ. გააცნო ყრილობის მთელი მუშაობა და აგრეთვე რამდენიმე მუხლი წაუკითხა საქ. კონსტიტუციის კრებულიდგან და ყრილობაზედ მიღებული რეზოლიუციები, რითაც კრება კმაყოფილი დარჩა. შემდეგ მოხსენებისა იყო მსჯელობა კოლექტივის შემადგენლობაზედ და გადაწყდა: ვინაიდგან რამდენიმე სოფლის კოლექტივის წევრები არ ესწრებიან კოლექტივის მორიგ თუ საგანგებო კრებებს და თავის დროზედ მოხსენებას ვერ უკეთებენ თავის სოფელს. დაუყონებლივ მოწვეულ იქმნეს კრება და მოხდეს კოლექტივის რეორგანიზაცია, რის სისრულეში მოყვანა დაევალა კოლექტ. ორგანიზატორს.

ნოე ხველი.

**აბარის** (რაჭა) საზოგადოების კოლექტივის კრება შესდგა 21 ივლისს. დაესწრო 15 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვ. ლობჯანიძე. კრებას დაესწრო თფილისიდან ამხ. პ. საღარაძე. გააკეთა მოხსენება დღევანდელ მომენტზე და პარტიულ მუშაობაზე. კარგი იქნებოდა, რომ ხშირად მოდიოდნენ ამხანაგები და აკეთებდნენ ასეთ მოხსენებებს.

ანას-შვილი.

## პროვინცია

**ქ. ხაშური.** 20 ივლისს ხაშურის მუშათა კლუბში საჯარო კრებაზე მოხსენება იქნა გაკეთებული დამფუძნებელი კრების წევრის ის. რამიშვილის მიერ: „საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე" რომლის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავის არსებობის ხანაში მან გამოიარა მრავალი ჭირ ვარამი, ხოლო ფეოდალური წესწყობილების უკიდურესი განვითარების გამო იგი დაირღვა, როგორც მთლიანი ორგანიზმი და იძულებული იყო შეერთებოდა რუსეთს. ასი წლის განმავლობაში რუსეთის დემოკრატიასთან ერთად იბრძოდა თვითმპყრობელობის დასამხობად და დემოკრატიზმის განსამტკიცებლად. მაგრამ რუსეთის სტიქიურმა მოძრაობამ, მოვლინებულმა ბოლშევიზმის სახით, ძირი გამოუთხარა თებერვლის რევოლიუციის დიად ლოზუნგებს, და ფეხქვეშ გასთელა პრინციპი რევოლიუციონური მარქსიზმისა—დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმისაკენ. საქართველოს დემოკრატიას, როგორც ბრძოლაში გაწვრთნილს, არ შეეძლო ექსპერიმენტების გზით ეწარმოებინა თავისი პოლიტიკა. ამისთვის მან დამოუკიდებლობის აღიარებით უარყო რუსული აღმასავლეთური პოლიტიკა და შეუდგა საერთაშორისო მუშათა კლასთან ერთად სოციალიზმის ბრწყინვალე მომავლისაკენ გზის გაკაფვას. მან მოიწვია დამფუძნებელი კრება და ამით განახორციელა თებერვლის რევოლიუციის ნაანდერძევი ლოზუნგი, შექმნა სოციალისტური მთავრობა და შეუდგა აღმშენებლობით მუშაობას.

კრება ესალმება დამფუძნებელ კრებას და მის მიერ არჩეულ მთავრობას და ულოცავს მას ბათუმის და მისი ოლქის, ამ რევოლიუციის აკვანის შემოერთებას.

კრება ავალებს მთავრობას სასტიკი ზომების მიღებას იმ მტერთა წინააღმდეგ, რომელთა მოქმედება ძირს უთხრის დემოკრატიის პოლიტიკურ ბატონობას ე. ი. ბოლშევიკების. წინააღმდეგ თავის მხრივ ხაშურის მუშათა კლასი კვლავინდებურად დამფუძნებელ კრებასა და მთავრობასთან იქნება და იბრძოლებს, სანამ საქართველოს მუშათა კლასს შერჩენია ერთი მეომართაგანი."

მოხსენება შინაარსიანი იყო. აუარება ხალხი დაესწრო და მოხსენებით კმაყოფილი დარჩა.

გრ. ჭაბუკიანი.

**ხ. ხართიჭალა.** აქ იშვიათად შეხვდებით მამაკაცს, რომელსაც მხრებზე მუდამ გადაკიდული არა ჰქონდეს ვინტოვკა. არ იცით ვინ არის ის,—მხედარია, გვარდიელი, თუ ავაზაკია. ქურდ-ბაცაცობას და ძარცვა-გლეჯას აღარ აქვს საზღვარი, წამდა-უწუმ სროლა სწარმოებს; ვინ რას ესვრის ვერ გამორკვეულა. ვაი მას, ვინც დასასვენებლათაა აქ ჩამოსული!

ამ რამდენიმე დღის წინეთ ვილაცამ ჯვარი დაიწერა. ალბათ სიხარულით ასტეხეს ისეთი სროლა, რომ გეგონებოდათ ბრძოლის ველზე ვართ. სროლამ ორი საათი გასტანა. მცხოვრებლები შიშისგან გარეთ ვერ გამოსულიყვნენ. არის შემთხვევა, როდესაც რომელიმე ვაჟბატონი დასეირნობს ქუჩაში, მას თავში მოსდის მოკლას ესა თუ ის პირუტყვი. განზრახვა მყისვე სისრულეში მოჰყავს და თავისუფლათ განაგრძობს სეირნობას. სოფლის სამხრეთ ნაწილში, ერთი ვერსტის მანძილზე, ერობას „პიტომნიკ"-ი აქვს, სადაც რამდენიმე მუშაა. 29 ივლისს ხაშუადამევს თავს დაესხნენ ხსენებულ მუშებს ბოროტ-მოქმედნი და მოსთხოვეს ფული; რადგან უარი მიიღეს, ხანჯლით დასჭრეს ოთხი მუშა, (ერთი მათგანი მძიმეთ არის დაჭრილი) და მიიმალნ. 27 ივლისს ეროკავშირის თივის შემკუშავ პუნქტის გამგე იობაშვილმა აიყვანა სამუშაოთ ვინმე რაჭველი ახალგაზრდა ყმაწვილი 17—18 წლ. შალვა მომცემლიძე, რომელმაც მუშაობის მესამე დღეს გაქურდა გამგე, მისი თანაშემწე და გაიპარა წაიღო საცვლები, შარვლები, კარაკული ქუდი, ვეცხლის საათი და სხვა. ქურდობის მოხდენამდე ადგილობრივ კომისარს საგარეჯოდან ცნობა ჰქონია მიღებული ხსენებულ ყმაწვილის დასატუსაღებლათ, ციწეროლობაში არის გაუგებარი მისი აღწერილობაც. კომისარმა ამაზედ თავიც არ შეიწუხა. იყო შემთხვევა ადგილობრივ ფერშლის გაძარცვისა. როდესაც ასეთ გარემოებას ვუცქეროდი, ვეკითხებოდი ყველას: კომისარი არის თუ არა აქ? მიპასუხებდნენ: —არისო. საკვირველია, რა არის კომისრის ვალდებულობა: გულგრილათ უცქეროს ამგვარ სურათებს, თუ მიიღოს სასტიკი ზომები ყოველ ამგვარ მავნე პირების ასალაგმავათ. უნდა სასწრაფოთ მიქცეულ იქნეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

სტუმარი.

**ქ. ლანჩხუთი** (გურია) ლანჩხუთი ახალი ქალაქია, მაშასადამე ჯერ მას ბევრს ვერას მოვთხოვთ, მაგრამ ვინც დღევანდელ საერთო მდგომარეობას ანგარიშს გაუწევს, მიუდგომლობას გამოიჩენს, არ შეიძლება ცოტაცებით არ სთქვას—ბარაქალა ლანჩხუთის მესვეურნო! სხვა ქალაქების მამები სულ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ისესხონ, ივალონ და თავიანთი თავი და ქალაქის მოსამსახურენი დააკმაყოფილონ, რაიმეს შექმნა, კულტურული საქმის დაწყება და მით ორმაგი სარგებლობა, ყველგან დავიწყებულია. მაგრამ ეგ არ ითქმის ლანჩხუთის შესახებ. ქალაქი შენდება და მართლა ქალაქის ელფერს იღებს. ერთი წლის წინათ რომ ვნახე ლანჩხუთი და ახლანდელს შევადარე განცვიფრებაში მოველ. ქ ლანჩხუთში გაყავთ მშვენიერი და ფართო ქუჩები, აგებული აქვს აბანო, ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას ელექტრონის სადგური, რომელიც აამუშავებს უზარ მაზარ წისქვილს (ურომლისობით ლანჩხუთელებს ზაფხულობით 10—13 ვერსზე დაჰქონდათ საფქვავი) და სახერხავ-საშალაშინებელ მანქანას—ხერხსა და შალაშინს. ლანჩხუთი და მის მარჩენალი ჭალები ყოველ წელს გადმოულეკია რიონს და ბევრჯერ ყანები წაულეკია ხოლმე. ლანჩხუთმა ამასაც მიაქცია ყურადღება და იკისრა თაოსნობა და ოზურგეთისა და სენაკის ერობასთან ერთად უკვე საკმაოთ შემაგრა რიონის პირი. მართალია ამ ჩინებულ საქმეს სხვებიც ითვისებენ, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ ყველაზე მეტი შრომა მიუძღვის ქ. ლანჩხუთს. ამისი ნაყოფი დღეს მილიარდობით აღინიშნება. რიონის გამაგრებას მოყვა ისეთი ყანების დათესვა, რომელიც მუდამ უქმად იყო. ღვდელი, ვაჭარი, მოხელე—ყველა სიმინდის თესვას შეუდგა და სიმინდიც კუპრივით შავი ღაღანებს. წელს სამჯერ მოვარდა რიონი, მაგრამ დამბა ვერ გაარღვია, სიმინდი ვერ წალეკა და ამიტომ მოსალოდნელია რამოდენიმე მილიონი ფუთი მეტი მოსავალი—ყანების დამუშავებას ადგილობრივი მცხოვრებნი ვერ აუვიდოდა. იმერეთსაც საქმე გაუჩნდა—500—600 იმერელი ყოველ დღე მუშაობდენ და დღეში ხარჯ გარეთ 400—500 მან. მიჰქონდათ...

მეტეორი.

## წერილი რედ. მიმართ

ლია წერილი ასოთ-ამწყობ ილ. სონღულაშვილს.

„ერთობის" 149 ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი ს. დიდმიდან, სადაც ეხებით ადგილობრივ სამკითხველოს, სკოლებს, კოოპერატივებს და საერთოთ თემის მუშაობას და მის არა სასურველ მოქმედებას. ეხებით აგრეთვე პირადათ თემის გამგეობას წევრს ვ. გენებაშვილს და ადგილობრივ ხმოსნების გ. გეგ—ს და ს—ის ბოროტმოქმედებებს და თითქოს ამას თემის გამგეობა ყურადღებას არ აქცევდეს და სხვ.

რომ ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეს საქმის ვითარება, გიწვევთ სამედიატორო სამართალში, სადაც ჩვენ მიერ წარმოდგენილი იქნება გასამართლებელი საბუთები ყველა თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდებებზე.

წინადადებას გაძლევთ ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის დასტამბვისა დაასახელოთ მედიატორები. განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს გაზეთებში.

წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები პასუხი მოგთხოვოთ ოფიციალურ სასამართლოს წესით.

თფილისის გარე-უბნის თემის თავმჯდომარე **გერ. კილასონია.**

რედაქტორი ლევან ნათაძე.


## განცხადებანი

კვირას 8 ამა აგვისტოს 8 საათზე „პესკა"-ზე (დესიმონოვის პლოშადზე) იყიდება

**საჯარო ვაჭრობით**

ერთი სახაზინო ცხენი

კუთვნილი შ. ს. ს. განსაკუთრებული რაზმისა. (2570—1—1)

ფერშალი
**ალ. ნ. გოლდანი**
რომელმაც მიატოვა სამსახური რკინის გზაზე და შორაპნის თემში, ეძებს საფერშლო საქმეებს: კისრულობს მძიმე ავადმყოფთათვის ღამის თევას, შეზხაპუნებას და სხვ. საფერშლო საქმეს ექიმის ზედამხედველობით. მისამართი: ნიკოლაევის ქ. № 76. (2571 3—1)

**სახელოსნო კლუბის გამგეობა**
იწვევს მსურველსა, რომელსაც შეუძლიან მოაწოდოს ოცი ვაგონი მაგარი ხარისხის შეშა. მსურველს შეუძლია თავის პირობები შეუვატყობინოს კლუბის კანტორაში 6—10 ს. საღამოს. (2547—2—2)

**სასწრაფოთ იყიდება**
სხვადასხვა საოჯახო ნივთები და აგრეთვე
**ლინეიის მეწველი ძროხები**
და ხარი
მისამართი გოგოლის ქ. № 49 ბინა 5. (2567—2—1)

**განმეორებითი გამოცდები მათემატიკაში**
და ენებში ვამზადებ მოწაფეებს
პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5, 9—11 ს. 4—6 ბინა ი. მაჩაიძისა. (2546—4—3)

ექიმი
**ნიკოლოზ მახვილაძე**
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს საშვებით, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ყოფილი I კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვკურნავ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914), ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
**კ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეზხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **ივ. ბოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საშარდე. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
**გ. გ. მებრაგიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრონ კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
**ე. ი. კალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნორე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო. (2383—თ.)

ექიმი
[illegible] ისაიას ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და [illegible] სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4 [illegible] ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (1741 [illegible])

ექიმი
**ბ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რეტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
[illegible] ისაიას ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5 ტელეფ. 10—55. (1742 [illegible])

**თფილისის სასტუმროების, მოწყობილი ოთახების**
პირველი ხარისხის რესტორანების და სხვათა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს რომ

**საგანგებო კრება**

დანიშნულია კვირას, 8 აგვისტოს დილის ათ საათზე ბიუროს შენობაში, თუ ვინიცობაა წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, მაშინ მეორე და უკანასკნელი კრება დაინიშნება იმავე 8 აგვისტოს დღის 12 საათზე, იმავე ბიუროს შენობაში. ეს უკანასკნელი კრება კანონიერად გამოცხადდება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს და დადგენილება სავალდებულო იქნება ყველა წევრთათვის. განსახილველი არის სხვადასხვა შინაური საყურადღებო საკითხები.

თავმჯდომარე გამგეობისა **ნ. სიხარულიძე.**
მდივანი გამგეობისა **ი. რაზმაძე.**

(8569—1—1)